ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## რა პრობლემები შეიძლება შეუქმნან საქართველოს ჯიჰადისტებმა



გვ.6

2 აგვისტოდან
ჯოვანი ბოკაჩო
დეკამერონი
ტომი 1
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



სამშაბათი, 2 აგვისტო, 2016 №181 (7107) ფასი: 50 თეთრი

# თავდაცვის მინისტრად ლევან იზორია დაინიშნა



გვ.2

## თინა ხიდაშელი: „იზორიას დანიშვნა შეცდომაა“







## პაატა ზაქარეიშვილი ქეთევან ციხელაშვილმა შეცვალა



## ლევან ბერძენიშვილი: „ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ მთავრობაშიც, კოალიციაშიც და ოპოზიციაშიც“

გვ.3

„ოცნებაში“ ვიღაცებს არ ვუყვარდით, მაგრამ პრემიერ-მინისტრთან პრობლემები ნაკლებად გვქონდა“



## „ნაციონალებს მოპარულ მილიონებს უკან მოვატანინებთ“

ზვიად ჩიტიშვილი: „ამ ფულით პენსიის გაზრდას შევძლებთ“



გვ.5

რა ბრალდებებს უყენებს ყოფილი ხელისუფლება სამხედრო ექსპერტს



გვ.5

## ტრისტან წითელაშვილი: „ნაციონალებზე სკანდალურ ინფორმაციებს გამოვაქვეყნებ“



გვ.4

## არჩილ გამზარდია: „მოსამართლეებზე ზეწოლას ბოლომდე ვერ გამოვრიცხავ“

ISSN 1987-9385

## „მარგველაშვილი პოზიციების გაძლიერებაზე ზრუნავს“



## „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ნაციონალების დამფინანსებელია“



გვ.3

# თავდაცვის მინისტრად ლევან იზორია დაინიშნა

## თინა ხიდაშელი: „იზორიას დანიშვნა შეცდომაა“

შორენა მარსაგიშვილი

შეგვიძლია მშვიდად ვიძინოთ, საქართველოს უკვე ჰყავს ახალი თავდაცვის მინისტრი. გუშინ, 1 აგვისტოს, პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა თავდაცვის მინისტრად ლევან იზორია დანიშნა, რომელსაც აქამდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის პოსტი ეკავა, უფრო ადრე კი შს მინისტრის მოადგილე იყო. მის სახელს უკავშირდება პატრულის რეფორმაც. როგორც ამბობენ, სწორედ ამის შემდეგ ესიმპათიურება ის ბიძინა ივანიშვილს.

2004 წლიდან დღემდე საქართველოში თავდაცვის მინისტრი უკვე 12-ჯერ შეიცვალა. მე-13 მინისტრს, ალბათ, ნაარჩევნევს ვიხილავთ.



ბოლო ერთი თვის განმავლობაში გამუდმებით იმაზე მიდიოდა საუბარი, თუ ვინ ჩაანაცვლებდა თინა ხიდაშელს. დასახელდა უამრავი კანდიდატურა. როგორც სახელისუფლებო წრეებში ამბობენ, მათგან ყველაზე რეალური კობა კობალაძისა და ირაკლი სესიაშვილის კანდიდატურები იყო.

ერთი ვერსიით, კობალაძის მინისტრად კურთხევა თითქმის გადაწყვეტილი ამბავი იყო, მაგრამ მისი კანდიდატურა ამერიკამ არ მოიწონა. კინაღამ თავდაცვის მინისტრს რუსული სამხედრო განათლება აქვს. 2003 წელს სწორედ ამის გამო არ დაუშვეს ის ამერიკელებმა თავიანთ სამხედრო სასწავლებელში.

მეორე ვერსიით, კობალაძის კანდიდატურა არჩევნების გამო გადადეს გვერდზე. მან გლდანში მაჟორიტარად უნდა იყაროს კენჭი.

ირაკლი სესიაშვილი, როგორც ამბობენ, თავდაცვის მინისტრობაზე 2012 წლიდან ოცნებობს. ამჯერად ის ახლოს იყო ოცნების ასრულებამდე, მაგრამ 2 თვით ამ პოსტის დაკავება არ ისურვა. არჩევნების შემდეგ ქვეყანას ახალი თავდაცვის მინისტრი ეყოლება.

ძალიან რომ მოენდომებინათ, „ოცნება“ სესიაშვილის დაყოლიებას შეძლებდა, მაგრამ ხალხის სიმცირის გამო მას ისევ საარჩევნო ფრონტზე გადაისვრიან და, შესაძლოა, ერთ-ერთ რაიონში მაჟორიტარადაც კი აყრევინონ კენჭი.

ამ ალიაქოთში ლევან იზორიას გვარი არავის გახსენებია. მას, მართალია, რამდენჯერმე უწინასწარმეტყველეს მინისტრობა, მაგრამ არა – თავდაცვის. მისი გვარი რამდენჯერმე მოიაზრებოდა შს მინისტრის პოსტზე. 2012 წლის შემდეგ ის რალაც პერიოდი შს მინისტრის მოადგილე იყო, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ თავისუფალი დემოკრატების სახელით მოხვდა, მათი გასვლის შემდეგ კი კოალიციაში დარჩა და თანამდებობაც შეინარჩუნა.



თავდაცვის მინისტრის რანგში ლევან იზორიამ პირველი კომენტარიც გააკეთა და სამომავლო გეგმებიც გაამხილა.

– მინდა, 2 ფაქტორზე გავამახვილო ყურადღება ჩემს მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, ჩვენ გავაგრძელებთ ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და ამ ინტეგრაციის გზაზე თავდაცვის უწყებაში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რისი თქმაც მსურდა, ახლო წარსულში ხელი მოეწერა მემორანდუმს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის და ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან რეფორმებს, რომლებიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენი თავდაცვის უწყებისა და ქვეყნის ინტეგრაციას. ბუნებრივია, ამ ნაკისრ ვალდებულებებს ღირსეულად შევასრულებთ, – განაცხადა იზორიამ.

იზორიას კანდიდატურის წარდგენა ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მათ შორის, თინა ხიდაშელისთვისაც. მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის და რესპუბლიკელები კობალაძეს ლობირებდნენ.

ხიდაშელი იზორიას კანდიდატურით დიდად არ მოხიბლულა. ეს მისი ფეისბუქსტატუსიდანაც ჩანს.

– სუსი თავდაცვაში, – წერს ხიდაშელი.

ნამინისტრალს ამ სტატუსზე ქეთევან ციხელაშვილი ჰყავს მოთაგული და ამბობს, რომ მისმა გამინისტრებამ გადაფარა ის წუხილი, რომელიც სუსელის გამინისტრებამ გამოიწვია.

სტატუსის გამოქვეყნების შემდეგ ხიდაშელმა შედარებით ვრცელი კომენტარი გააკეთა. ის იზორიას დანიშვნას შეცდომად მიიჩნევს.

– მე ვფიქრობ, რომ მთავარ შეცდომას უშვებს დღეს პრემიერ-მინისტრი. თავდაცვის სამინისტრო არის სამოქალაქო ცხოვრების ნაწილი უწყება. ეს არის უწყება, რომელიც ერთ-ერთი უფრო ყველაზე პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელია როგორც საგარეო ურთიერთობებში, ასევე საქართველოს ინტეგრაციის გზაზე.

რატომ არის აკრძალული, რომ თავდაცვის მინისტრი იყოს სამხედრო, მაგალითად. ეს არის სამოქალაქო უწყება და, მე ვფიქრობ, ძალიან ცუდი გზავნილია ყველასთვის, ჩვენი პარტნიორებისთვის, ქვეყნის შიგნით, როდესაც ჯერ ალასანია, სამოქალაქო პოლიტიკოსი, გახსნილი მინისტრი ჩაანაცვლა უშიშროებამ და შემდეგ ხიდაშელი ჩაანაცვლა უშიშროებამ. ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა. არ ვიცი, ეს რა მიზანს ემსახურება. მე შემიძლია გითხრათ ცალსახად, რომ ეს არის ძალიან ცუდი ტენდენციის მანიშნებელი, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

იზორიას დანიშვნით უკმაყოფილოა ნაციონალური მოძრაობაც. დეპუტატ ირმა ნადირაშვილის განცხადებით, ამ თანამდებობაზე ლევან იზორიას დანიშვნა ქვეყნის თავდაცვის უწყების მიმართ არასერიოზული და უპატივცემულო დამოკიდებულებაა.

– თავდაცვის მინისტრად სუსიდან წამოსული კადრის დანიშვნა კიდევ ერთხელ მიუთითებს ივანიშვილის არასერიოზულ და უპატივცემულო დამოკიდებულებაზე ქვეყნის თავდაცვის უწყების მიმართ.

ზოგადად ვთვლით, რომ ივანიშვილის მარიონეტების გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე საერთოდ არ ცვლის ვითარებას და ვითარების შეცვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ 8 ოქტომბერს, როდესაც ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა დასრულდება, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

ხიდაშელისა და ნადირაშვილის გარდა, იზორიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნა არც თენგიზ კიტოვანს გაუხარდებოდა. 1993 წელს, როცა შს მინისტრად თემურ ხაჩიშვილს ამტკიცებდნენ, მედიამ თავდაცვის მინისტრის რანგში მყოფ კიტოვანს სთხოვა კომენტარი.

– არ ვიცი, რა იქნება, მილიციანერებს ბავშვობიდან ვერ ვიტან, – განაცხადა კიტოვანმა.

* * *

ხიდაშელისგან განსხვავებით, იოლად მოუძებნეს შემცვლელი პაატა ზაქარეიშვილს. კონფლიქტებსა და შერიგებაზე მისი ყოფილი მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი იზრუნებს. ის პაატა ზაქარეიშვილის გზის გაგრძელებას აპირებს.

**ქეთევან ციხელაშვილი:**

– ჩვენ გავაგრძელებთ პრაგმატულ პოლიტიკას, რომელიც ხშირად არ არის ხმამაღალ რიტორიკაზე მიმართული, არამედ საქმეზე და არის ძალიან პრინციპული. ამ პოლიტიკის გატარებით ჩვენ შევძელით, ბოლო 4 წლის განმავლობაში შეგვენარჩუნებინა მშვიდობა ძალიან რთულ გარემოში, მყარი არაღიარების პოლიტიკა და, ამავე დროს, ნულოვანი ნიშნულიდან დაგვეძრა სამშვიდობო პროცესი და ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტ დინამიკურ ნაბიჯს გადავდგამთ.

ჩვენ გავაგრძელებთ, ერთი მხრივ, დეოკუპაციის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებით, ხოლო მეორე მხრივ, დიალოგის პოლიტიკას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასთან მიმართებით, რომელიც ნდობის მშენებლობასა და შერიგებაზეა ორიენტირებული. ჩვენი მიზანი, ცხადია, გახლავთ ერთიანი საქართველო, ეს კი, პირველ რიგში, გულისხმობს სწორედ ჩვენი ხალხის გაერთიანებას.




პაატა ზაქარეიშვილი ქეთევან ციხელაშვილმა შეცვალა

# ირაკლი სესიაშვილი: „რესპუბლიკური პარტია პოლიტიკურ კულტურაში მოიკოჭლებს“

## გია ვოლსკი: „უსუფაშვილს ხარაგაულის საკრებულოს ვერ გავუთანაბრებთ“

– რესპუბლიკურ პარტიას გამოცდილება დიდი აქვს, თუმცა პოლიტიკურ კულტურაში მოიკოჭლებს.

ასე პასუხობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი რესპუბლიკელი ლიდერების ბრალდებებს მათი პარტიის მიმართ პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების შესახებ.

**ირაკლი სესიაშვილი:**

– რესპუბლიკურ პარტიაში უფრო გამოცდილი პოლიტიკოსები არიან, ვიდრე ადეკვატური პოლიტიკური კულტურა აქვთ. გამოცდილება დიდი აქვთ, თუმცა პოლიტიკურ კულტურაში მოიკოჭლებენ, თუკი ეს საკითხი მათ ინტერესებს ეხება.

ქალბატონი თინა ხიდაშელი ორი დღის წინ ინტერვიუში აცხადებდა, რომ მინისტრობიდან გაშვებას აღიქვამს, როგორც არადემოკრატიულს და ბოლშევიკურს.

დეპუტატი ამბობს, რომ რესპუბლიკელებს პარტნიორობა წარმოუდგენიათ იმ ფორმით, თუ რა უნდათ მათ და ყოველთვის ცდილობენ, ეს პარტნიორობა იყოს მათთვის ვიწროპოლიტიკურად მომგებიანი.

– თუკი ჩვენ გადავხედავთ მათ რეალურ ქმედებებს, მათი მხრიდან ამ პარტნიორობის ფორმატში არ წყდებოდა გაუაზრებელი, არაეთიკური, არაპარტნიორული და უხეში თავდასხმები, – აღნიშნავს ბატონი სესიაშვილი.



დეპუტატის თქმით, რესპუბლიკელებმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

– გავიხსენოთ დავით ზურაბიშვილი ან თუნდაც ლევან ბერძენიშვილი, გაუთავებელი, უსაფუძვლო და არაეთიკური ბრალდებებით. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დიდი მადა ჰქონდათ ძალიან ბევრ რამეში.

შეეგუოს რესპუბლიკური პარტია, რომ კოალიციის დატოვება მოუწიათ სწორედ მათი ვითომპარტნიორული ურთიერთობის გამო, მათ ეს თავად მოინდომეს, როგორც ჩანს. მათი საქმეები უფრო მეტად ამაზე მეტყველებს, – აცხადებს დეპუტატი.

მისი თქმით, ხელისუფლებაში არის მმართველი პოლიტიკური ძალა და ადგილობრივ დონეზე, თვითმმართველობები, დამოუკიდებლად გადაწყვეტენ, ვინ უნდა იყოს საკრებულოს თავმჯდომარე და ვის რა პოზიციები უნდა ეკავოს.

– ის, რა პოლიტიკური პროცესიც მიმდინარეობს, აბსოლუტურად ბუნებრივია და არ მოსწონთ რესპუბლიკელებს? – თავის თავს დააბრალონ და დააბრალონ იმას, რა პოლიტიკური ანტინარატივიც ჰქონდათ ხელისუფლების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელისუფლების პირობებში არცთუ ისე ცუდი პოზიციები ეკავათ, – აღნიშნავს ირაკლი სესიაშვილი.

გუშინ რესპუბლიკელები კიდევ ერთმა მეოცნებემ, გია ვოლსკიმ მოიხსენია.

– ჩვენ ვიმყოფებით წინასაარჩევნო ოპონირებაში. ხომ არ შეიძლება, რომ ოპონენტი პარტიული ძალა ხელმძღვანელობდეს არჩევით ორგანოს, მაშინ როდესაც ამ არჩევით ორგანოში რესპუბლიკელები უმცირესობაში იმყოფებიან? – განაცხადა მან.

მისივე თქმით, პარლამენტის თავმჯდომარესთან დაკავშირებით ვითარება სხვაგვარია.

– პარლამენტის თავმჯდომარე არის რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, ის არის სახელმწიფოს სახე და არ შეიძლება, ხარაგაულის საკრებულოს გავუთანაბროთ. თავისი საქმეების ამოწურვამდე ის არის ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ფიგურა, – აღნიშნა ვოლსკიმ.

ხარაგაულის საკრებულოს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ რესპუბლიკელი თავმჯდომარის ინგა მაღრაძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი დააყენა. საკითხს კენჭი 1 აგვისტოს სხდომაზე ეყარა, თუმცა არასაკმარისი ხმების გამო მაღრაძის გადაყენება ვერ მოხერხდა.

რესპუბლიკური პარტია აღნიშნულის გამო ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი ნაციონალების დამფინანსებელია"

შორენა მარსაგიშვილი


იოსებ მაკრახიძე

„ქართული ოცნების" მიერ შიდა ქართლში წარდგენილი 5 მაჟორიტარიდან 2 ნაციონალებთან სერიოზულად დაახლოებული პირი აღმოჩნდა.

ქალაქ გორის მაჟორიტარობის კანდიდატი იოსებ მაკრახიძე კი საერთოდ ნაციონალების ოფიციალური დამფინანსებელია.

– ბოლო დროს თვალშისაცემია „ოცნების" კარზე ყოფილი ნაციონალებისა და მათი კარის ბიზნესმენების დაწინაურება. ეს იმ დროს, როცა პარტია „ქართული ოცნების" მთელ რიგი წევრები, რომლებიც წლების განმავლობაში ებრძოდნენ რეჟიმს, გვერდზე გასწიეს. ნაციონალების კარის ბიზნესმენებთან საერთო ენა რომ გამონახეს, აღარ მიკვირს, მაგრამ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ მაჟორიტარობის კანდიდატად ნაციონალების შემომწირველს დაასახელებდნენ, – აცხადებს „ახალ თაობასთან" საუბარში ორგანიზაცია თავისუფალი თაობის ლიდერი ლადო სადღობელაშვილი.

მისი თქმით, იოსებ მაკრახიძე სამშენებლო კომპანია „იბოლიას" ხელმძღვანელია, რომელიც ძირითადად ასფალტ-ბეტონის სამუშაოებს ასრულებს.

– ჯერ კიდევ 2011 წელს შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ბეჭდური ვერსია „ქართლის ხმა" წერდა, რომ „იბოლია" და მისი ხელმძღვანელი მაშინდელი მმართველის გუნდის, ნაციონალური მოძრაობის, მსხვილი შემწირველია, – ამბობს თავისუფალი თაობის ლიდერი.

სადღობელაშვილის თქმით, „იბოლიამ" ნაციონალურ მოძრაობას იმ პერიოდში 50.000 ლარი შესწირა.

მისივე ინფორმაციით, ამ ყველაფრის პარალელურად, აღნიშნული კომპანია ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და საგზაო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულის სტატუსით მონაწილეობდა.

– სოსო მაკრახიძის ძმა, ალიკა მაკრახიძე, ასევე სამშენებლო კომპანია „არქმშენსტუდია 2002"-ის დირექტორია. აღნიშნული კომპანია ასევე აქტიურად თანამშრომლობდა და მუშაობდა ნაციონალური მოძრაობის პერიოდში. მეორე ძმა მაკრახიძე ორი წლის წინ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში ამბობდა, რომ ნაციონალების დროს უფრო მალე აგებდნენ ასფალტს, – აღნიშნავს სადღობელაშვილი.

ნაციონალებთან არის დაკავშირებული ქარელის მაჟორიტარობის კანდიდატის წარსულიც. ნაციონალების გარდა, თოთლაძეს სპორტთანაც ჰქონდა კავშირი. არადა, „ოცნების" ლიდერები ამბობდნენ, ჩვენს რიგებში ყოფილი ნაციონალები და სპორტსმენები არ იქნებიანო.

გიორგი თოთლაძე 1998 წელს ძიუდოში საქართველოს ჩემპიონი გახდა, მომდევნო წელს კი გორის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

2000 წელს ახალგაზრდული ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი გახდა; 2002 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული ახალგაზრდებს შორის მოიპოვა, 2003 წელს კი ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი გახდა.

შემდეგ ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, პოლიტიკაში წასულიყო.

– ტრავმამ ახალგაზრდა მოჭიდავის კარიერა დაასრულა. სამაგიეროდ, სპორტიდან წასული თოთლაძე პოლიტიკაში გამოჩნდა, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ქარელის საკრებულოს თავმჯდომარე ვანო არდემანაშვილმა.



თავისუფალი თაობის ლიდერის თქმით, პოლიტიკური კარიერა თოთლაძემ ნაციონალურ მოძრაობაში აიწყო.

– 2008 წლის მაისში, ნაციონალების დროს, ქარელის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად დაინიშნა და ამ პოსტზე 2009 წლის ნოემბრამდე დაჰყო. 2010 წლის სექტემბერში ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ დაინიშნა და ოქტომბრის ბოლოს გადადგა, – ამბობს სადღობელაშვილი.

მისი თქმით, თოთლაძე „ქართულ ოცნებაში" 2013 წლის იანვარში შევიდა.

ნაციონალებში ყოფნის ფაქტს აღიარებს თავად თოთლაძეც. რაღაც პერიოდი ის რუსეთში იყო წასული.

– როდესაც მივატოვე ნაციონალური მოძრაობა, ცოტა ხანს რუსეთში წავედი. იქ იმ დრომდე გავჩერდი, ვიდრე არ მივხვდი, რომ ჩემი თავი სამშობლოს სჭირდებოდა. ამიტომ დავბრუნდი საქართველოში და გავწევრიანდი ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებაში", – განაცხადა თოთლაძემ.

სადღობელაშვილს პირადად თოთლაძის მიმართ პრეტენზიები არ აქვს, მაგრამ აინტერესებს, სხვა აღარავინ იყო, ქარელში რომ მაჟორიტარად წარედგინათ?

– უკვე აღარც კი ვიცი, რა ვიფიქრო. „ქართული ოცნება" ნაციონალების ფილიალი გახდა. ამ პარტიაში მხოლოდ იმ ხალხს აწინაურებენ, რომლებიც ყოფილ ხელისუფლებასთან რაღაც კავშირში იყვნენ, – ამბობს სადღობელაშვილი.

სადღობელაშვილი არ გამორიცხავს, რომ მალე „ოცნება" თავის რიგებში მერაბიშვილსა და ახალაიასაც შეიყვანს.

# ლევან ბერძენიშვილი: „ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ მთავრობაშიც, კოალიციაშიც და ოპოზიციაშიც"

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან ბერძენიშვილი** „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, რესპუბლიკელმა მინისტრებმა მინისტრთა კაბინეტი დატოვეს და პარტიულ საქმიანობას დაუბრუნდნენ. დღეს როგორ შეაფასებთ „ქართულ ოცნებასთან" თანამშრომლობას?***

– რესპუბლიკურმა პარტიამ თავისი მინისტრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რადგან საქართველოში პირველად გვყავდა რეალურად მრავალპარტიული, ორპარტიული მთავრობა. კოალიციური მთავრობა, რომელიც არის ევროკავშირის სტანდარტი, საქართველოში რეალურად პირველად განხორციელდა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ამ მონაპოვარს საფრთხე არ შეჰქმნოდა.



**„ოცნებაში" ვიღაცებს არ ვუყვარდით, მაგრამ პრემიერ-მინისტრთან პრობლემები ნაკლებად გვქონდა"**

ჩვენი ყველა პარტნიორი ამით არ იყო ბედნიერი, მაგრამ ეს მოვახერხეთ. ამიტომ მე, როგორც რესპუბლიკელი და როგორც რიგითი მოქალაქე, თინათინ ხიდაშელსა და პაატა ზაქარეიშვილს მადლობას გადავუხდიდი.

***– ისინი აქტიურ პარტიულ საქმიანობას უბრუნდებიან. თინა ხიდაშელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იქნება?***

– დიახ, პარტიაში გააგრძელებენ საქმიანობას და არც არასდროს მიუტოვებიათ პარტიული ინტერესი. ცხადია, ძალიან აქტიურები იქნებიან. თინა ხიდაშელის აქტიურობა, მოგეხსენებათ, რას ნიშნავს და ჩვენ ამას სერიოზულად ვაფასებთ. უახლოეს დღეებში გაირკვევა, ვინ სად და რა პოზიციებზე იბრძოლებს მომავალ არჩევნებში.

***– ბატონო ლევან, რა მოლოდინები გაქვთ 8 ოქტომბრის არჩევნებისგან?***

– მოლოდინი მაქვს, რომ ორ ამოცანას შევასრულებთ: ერთი, საარჩევნო ბარიერს გადავლახავთ და პარლამენტში მოვხვდებით. რაც შეეხება მეორე მოლოდინს, ჩვენი მაჟორიტარი კანდიდატები, ყველა ვერა, მაგრამ ნაწილი მაინც მოახერხებს მეორე ტურში გადასვლას, ზოგი – გამარჯვებას. საერთო ჯამში, ჩვენ საქართველოს პარლამენტში უნდა წარმოვდგეთ დაახლოებით ისე, როგორც ვიყავით ან უკეთესად.



***– ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ? ენდიაის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებზე რას იტყვით?***

– ენდიაის რეიტინგებში ჩანს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 60%, რომელიც არჩევნებზე აპირებს წასვლას, ჯერ ვერ გარკვეულა, ვის მისცემს ხმას. რეალურად კვლევა ვერ ჩატარდა ანუ ენდიაიმ ამ კვლევებით რეალური სურათი ვერ დადო. ეს შეიძლება არც მათი ბრალია და არც სხვისი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ამ კვლევების მიხედვით ვერაფერს გაარკვევ.

ბუნებრივია, გამოქვეყნებულ კვლევას ვსწავლობთ, გვაქვს შეხვედრები, გამოვიყენებთ ყველა სახის ინფორმაციასა და შედეგს, მაგრამ ჩვენ საკუთარ კვლევასაც ვატარებთ და საკუთარი ძალების მობილიზაციასაც ვახდენთ. გვაქვს იმედი, რომ ჩემ მიერ დასახელებული ამოცანები შევასრულოთ.

რაც შეეხება იმას, ვენდობით თუ არა კვლევებს ზოგადად, გეტყვით, რომ სოციოლოგიური კვლევის მიხედვით ინგლისი ახლა ევროკავშირში უნდა იყოს, მაგრამ აღარ არის. საუბარია მსოფლიო დონის კვლევაზე, რომლის მიხედვითაც ინგლისი ევროკავშირის შემადგენლობაში რჩებოდა, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევები რას ამბობს მომავალი პრეზიდენტის ვინაობაზე და ა.შ. ყველგან კვლევები სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ არის. მთავარი კვლევა არის არჩევნები. ამდენად, ჩვენთვის საბოლოო პასუხიც არჩევნები იქნება.

***– ექსპერტები ამბობენ, რომ 8 ოქტომბრის არჩევნები ყველაზე არაპროგნოზირებადია, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვოს უმრავლესობა და პარლამენტში შესულ ძალებს მოუხდეთ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება. ახალ კოალიციაში თქვენს ადგილს ხედავთ?***

– ჩვენ კოალიციაში ვიყავით და კოალიციაში ყოფნის დადებითი და უარყოფითი გამოცდილებაც გვაქვს. ამიტომ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, მომავალ პარლამენტში ვინ როგორ იქნება წარმოდგენილი. ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ კოალიციაშიც, მთავრობაშიც და ოპოზიციაშიც. არცერთი ვარიანტი გამორიცხული არ არის.

ვინც ამბობს, რომ კოალიციური მთავრობა არ იქნება არავითარ შემთხვევაში, ეს ძალიან ხისტი საუბარია. შეიძლება იყოს, ამიტომ პარტნიორებთან დამოკიდებულება ახლაც ფაქიზი უნდა იყოს და არა ისეთი, რაც „ქართულმა ოცნებამ" გაგვიკეთა ხარაგაულში, როდესაც რესპუბლიკური პარტიის წევრი საკრებულოს თავმჯდომარე გადააყენეს. ეს არ არის მომავალი კოალიციისკენ გადადგმული ნაბიჯები. ასეთი ნაბიჯები არ უნდა გადაიდგას, რადგან მოგვიწევს თანამშრომლობა.

დიდი ალბათობით, ერთპარტიული მთავრობა არ გვეყოლება. „ქართული ოცნება" ამბობს, რომ ერთპარტიული მთავრობა კარგია, მაგრამ ერთპარტიული მთავრობა კატასტროფაა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის შემთხვევაში. ჩვენ ვიცით, რა მოჰყვება ამას შედეგად. ამიტომ უნდა ვისწავლოთ თანამშრომლობა, ერთმანეთის გაგება, კომპრომისები.

***– კომპრომისების შედეგი არ იყო ეს კოალიციური მთავრობა? თქვენ თქვით, რომ კოალიციური მთავრობის შენარჩუნება ძნელი იყო, რომ აქამდე მოსვლა რთული იყო.***

– ძალიან რთული იყო ნამდვილად, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ და რესპუბლიკელებს გვეყო ნერვული სისტემაც, ჭკუაც, გონებაც, რომ მოვსულიყავით.

***– რის ხარჯზე? კომპრომისი ხომ არ იყო ცალმხრივი?***

– არა, რა თქმა უნდა, კომპრომისი ორმხრივია, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტი გამოცდილება და პოლიტიკური კულტურა აღმოგვაჩნდა. ეს არ არის გასაკვირი. ჩვენ ძველი პარტია ვართ. „ქართული ოცნება" ახლახან ჩამოყალიბდა. იქ არ იყო ერთიანობა, უნდა ყოფილიყვნენ თუ არა რესპუბლიკელები მთავრობაში. უმრავლესობა ფიქრობდა, რომ არ უნდა იყვნენ, მაგრამ ემორჩილებოდნენ იმ უმცირესობას, რომელიც ქვეყანას მართავდა. ვიღაცებს არ ვუყვარდით, მაგრამ პრემიერ-მინისტრთან პრობლემები ნაკლებად გვქონდა.

კომპრომისი ჩვეულებრივი პოლიტიკური მოვლენაა. არ დაიჯეროთ, რომ პარლამენტში ყველას ერთმანეთი უყვარს და ყველა ჩასახუტებელია, მაგრამ თანამშრომლობა გვიწევს, გამარჯობის თქმა გვიწევს ისეთი ხალხისთვის, რომელზეც არ ოცნებობ, რომ შეგხვდეს და გამარჯობა უთხრა. მიუხედავად ამისა, ხერხდება, რომ ვითანამშრომლოთ. მაგალითად, მოვახერხეთ, რომ მთელ პარლამენტს მიგვეღო საგარეო პოლიტიკაზე ერთობლივი დოკუმენტი. ეს ყველაფერი კომპრომისებითაა მიღწეული.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „მარგველაშვილი პოზიციების გაძლიერებაზე ზრუნავს“

## არჩილ გამზარდია: „მოსამართლეებზე ზეწოლას ბოლომდე ვერ გამოვრიცხავ“

გულიკო ბალაძე

პრეზიდენტ მარგველაშვილისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე პაპუაშვილის განცხადებებს ზეწოლის შესახებ პოლიტიკური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს. „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი **არჩილ გამზარდია** ესაუბრა.

***— ბატონო არჩილ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებები მოსამართლეებზე ზეწოლის თაობაზე პოლიტიკასთან რაიმე შემხებლობაში არის, როგორც ამას ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობს?***

— პაპუაშვილის განცხადებებთან დაკავშირებით ყველაფერი ძალიან ამორფულია. სანამ შესაბამის დასკვნებს არ დადებენ და არ მოახდენენ რეაგირებას, მანამდე ძალიან ძნელია საუბარი. თეორიულად, პოლიტიკურ მოტივი პაპუაშვილს ნამდვილად აქვს. შესაძლოა, რასაც პაპუაშვილი ამბობს, მართალი იყოს, ბოლომდე ვერ გამოვრიცხავ, ვერ ვიტყვი, რომ ასეთი რამ საქართველოში შეუძლებელია და ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმ სიმაღლეებს, რომ შეუძლებელია, ხელისუფლების წარმომადგენლები მსგავს რამეს აკეთებდნენ. სავსებით შესაძლებელია, გარკვეული ზეწოლები იპარებოდეს, მაგრამ, ამის პარალელურად, პაპუაშვილს ნამდვილად აქვს პოლიტიკური მოტივი.



***— რა პოლიტიკური მოტივი შეიძლება ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ამგვარი განცხადებების გაკეთებისთვის?***

— პაპუაშვილის სახლთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ისედაც არის საუბარი. ასევე ის ამ პოსტზე წინა ხელისუფლებამ წარადგინა. მას პოლიტიკური მოტივები ნამდვილად აქვს, რომ ზეწოლის არარსებობის შემთხვევაშიც მსგავსი განცხადებები გააკეთოს პარტიის ინტერესების შესაბამისად.

***— რატომ ვერ ყალიბდებიან პროფესიონალებად, ვთქვათ, მოსამართლეები პოლიტიკას რომ არ გაეკარონ? ხელს რა უშლით?***

— საქართველოში საზოგადო სივრცე არ არის საიმისოდ, რომ პროფესიონალებს ჰქონდეთ ფართო სივრცე. პროფესიონალიზმი გულისხმობს პროფესიულ-ეთიკური ნორმების გათვალისწინებასაც. სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო ჯერ ნამდვილად არ არის იმ დონემდე მისული, რომ კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ეთიკური ნორმების დაცვით მუშაობენ და ამაღლებული არიან პოლიტიკურ პარტიულ პარამეტრებზე, დაფასებულნი იყვნენ.

ასე არსად ხდება. ყველგან, ყველა სფეროში პოლიტიკური ტემპერატურის შესაბამისად მოქმედებენ. ელემენტარულ საკითხშიც კი პოლიტიკური პროცესები, პოლიტიკური მახასიათებლები და მდგენელები მაღალია. ამ მხრივ არც ხელისუფლება გვყავს ისეთი და მთლიანობაში არც სახელმწიფოა შექმნილი იმგვარად, რომ პოლიტიკური მდგენელებისგან დაცლილი პროფესიონალები მივიღოთ.

ამიტომაც ისწრაფვიან პოლიტიკისკენ, რომ მათ საქმიანობას პოლიტიკური ელფერი ასდიოდეს და უნდათ, ამის მიხედვით რაღაც შესაძლებლობები უჩნდებოდეთ.

***— პრემიერის განცხადებები ამ მხრივ როგორ გამოიყურება?***

— პრემიერის რიტორიკას ვუსმენ. ვნახოთ, რა იქნება. ჯერჯერობით ეს ყველაფერი პოლიტიკურ პროცესებთან არის გადაჯაჭვული, მით უმეტეს, პაპუაშვილი ახალგაზრდაა, სააკაშვილის დროინდელ მმართველ თაობას ეკუთვნის და ზედმეტადაა პარტიულ სულისკვეთებაში ჩაფლული, ამიტომ ძალიან უჭირს ამ ყველაფრისგან შორს დგომა.

***— როცა ზეწოლაზეა საუბარი, რის შეიძლება ეშინოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს?***

— ჩვენ ვცხოვრობთ ტოტალური ჩაწერების, ტოტალური დისკრედიტაციის რეჟიმში, ტოტალური საშიშროებების რეჟიმში, როდესაც, ვის რას ამოუქექავენ, კაცმა არ იცის. ამიტომ, არ არის გამორიცხული, ტოტალური ჩაწერების რეჟიმში ადამიანების მიმართ კომპრომატები არსებობდეს თუნდაც პირად საკითხებზე და არა, ვთქვათ, პროფესიული კუთხით.

არც იმას გამოვრიცხავთ, დღევანდელ ხელისუფლებაში, ძველი ხელისუფლების ნაწილი ამ ყველაფერს სათავისოდ არ იყენებდეს. ამიტომაც ამ რეჟიმში სავსებით შესაძლებელია ადამიანებზე ზეწოლის მოხდენა. შესაბამისად, შეიძლება, შანტაჟის რეჟიმში გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება ხდება. ამიტომ ჩემთვის გასაკვირი არ იქნება, თუ ზეწოლის ფაქტი დამტკიცდება, რადგან გარემო სრულად არ არის გაჯანსაღებული. ჯანმრთელ სახელმწიფოში ჩვენ ჯერ არ ვცხოვრობთ.

***— შეიძლება, ზეწოლა ხორციელდებოდეს სააკაშვილისგან?***

— ზეწოლის მომხდენი შეიძლება იყოს სამი მხრიდან. პირველი — ყოფილი ხელისუფლება, ვინც ამ ყველაფერს იწერდა, იცის ამ მოსამართლეების საქმიანობის შინაარსი; მეორე — ზეწოლის მომხდენი შეიძლება იყვნენ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ, ზეგავლენის ბერკეტები არ გაუშვან ხელიდან; მესამე — დღევანდელ ხელისუფლებაში მოკალათებული ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც როგორი წესითაც მუშაობდნენ, იმავე წესით აგრძელებენ მუშაობას. ამიტომ ზეწოლის ფაქტი სრულიად რეალისტური შეიძლება იყოს.

***— უცხოეთში, როდესაც თანამდებობის პირზე, ვთქვათ, მოსამართლეზე კომპრომატი ხმაურდება, რომელიც არ შეესაბამება მაღალ პროფესიულ-მორალურ ღირებულებებს, ამას მოჰყვება ხოლმე პირის გადადგომა. საერთოდ, მოსამართლე და ამგვარ თანამდებობებზე დანიშნული პირები გარკვეულ მორალურ-ზნეობრივ და პროფესიულ ღირებულებებს ხომ უნდა აკმაყოფილებდნენ?***



— გეთანხმებით, მაგრამ ზეწოლისთვის მხოლოდ კომპრომატი არ არის საჭირო. მაგალითად, წინა ხელისუფლება კომპრომატების გარეშეც ახდენდა ზეწოლას, ემუქრებოდნენ ოჯახის წევრების ფიზიკური განადგურებით, ნარკოტიკების ჩადებით და სხვა. ერთია, როცა ზეწოლისთვის არსებობს ბუნებრივი მიზეზი, ვისზეც შეიძლება განხორციელდეს, მეორეა ადამიანის უფლებების დარღვევის გზით ზეწოლა. თუ ქვეყანაში სამართლიანობა არ არსებობს და ადამიანი არ არის დაცული, სრულიად შესაძლებელია, უკომპრომატო ადამიანის მიმართ განახორციელო ზეწოლა.

***— თუ არსებობს ისეთი კომპრომატი მაღალი რანგის თანამდებობის პირების შესახებ, მათ შორის მოსამართლეზე, რაც აუცილებელია იცოდეს საზოგადოებამ და რის გამოც მას უფლება არ აქვს, ესოდენ მაღალი თანამდებობა ეჭიროს?***

— ადამიანი რაც უფრო მნიშვნელოვანი პერსონაა სახელმწიფოში, მისი პირადი თავისუფლება მით უფრო მცირეა. თუ რიგით ადამიანს შეუძლია, შეცდომა დაუშვას პირად ცხოვრებაში, მაღალი თანამდებობის პირს ამის უფლება არ აქვს. ხომ გახსოვთ, ამერიკის პრეზიდენტ ბილ კლინტონს რამდენად გაურთულა პირადმა ცხოვრებამ პოზიციები.

სასურველია, ადამიანები თანამდებობებზე ყველა მნიშვნელოვანი კრიტერიუმით გამართულნი ინიშნებოდნენ. თუმცა, ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ამის შესაძლებლობა ძალიან მცირეა. ამიტომ მაღალ პროფესიულ-მორალურ და ეთიკურ ნორმებზე ორიენტირებულნი ვერ იქნებიან.

***— ნაციონალებმა პაპუაშვილის განცხადების შემდეგ თქვეს, რომ ხელისუფლება ინსტიტუციებს ებრძვის და ეს საკონსტიტუციო სასამართლოსაც შეეტყო, რადგან პაპუაშვილის განცხადებებზე მოსამართლეთა აზრებიც გაიყო.***

— ეს არის ჩვეულებრივი სპეკულაცია. როდესაც ისინი აკრიტიკებენ აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაშინ ისიც ინსტიტუციური ბრძოლაა აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ. კრიტიკა და მსჯელობა ზეწოლა არ არის. ზეწოლა არის, როცა მართვის ბერკეტებს უფრო მაღალი ხელისუფალი იყენებს უფლებების გადამეტების კუთხით. პრეზიდენტის შეფასება სასამართლოს ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ ზეწოლა არ არის.

***— მარგველაშვილისა და პაპუაშვილის შეხვედრის შემდეგ ჩვენ მოვისმინეთ განცხადებები ზეწოლის შესახებ. თურმე პრეზიდენტის ოჯახის წევრზეც მოხდა ზეწოლა. თუ პაპუაშვილის განცხადებას პოლიტიკური მოტივი ედო საფუძვლად, ამ კონტექსტში როგორ ჩაჯდა პრეზიდენტის განცხადება ზეწოლის შესახებ?***

— ის, რაც აღნიშნა პრეზიდენტმა და რაც დადასტურდა, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ზეწოლად ჩაითვალოს. საქართველოს მოქალაქე, ვისი ოჯახის წევრიც უნდა იყოს, თანაბრადაა პასუხისმგებელი კანონის წინაშე. ამიტომაც პრეზიდენტმა ცოტა გაუგებარი განცხადება გააკეთა, თანაც, თუ მოხდა ზეწოლა, ერთი თვის შემდეგ და პაპუაშვილთან შეხვედრის დროს არ უნდა გამოემზეურებინა. ჯერჯერობით პრეზიდენტის ნათქვამი დარჩა პრეზიდენტის ინტერპრეტაციად და არა — ფაქტობრივ მდგომარეობად.

***— ბუშის ქალიშვილის დაკავება და დაჯარიმება გამახსენდა ლუდის დალევის გამო.***

— დიახ. პრეზიდენტის ოჯახის წევრიც არის საქართველოს მოქალაქე, ისევე, როგორც პრეზიდენტი. თუ მისი ოჯახის წევრის ან მის მიმართ კანონის დარღვევა ხდება, ვიღაც უფლებას ამეტებს მისი შევიწროების მიზნით, სხვა საქმეა. ახლა მან ცოტა გაუგებარი განცხადება გააკეთა, რაც მარგველაშვილს დროდადრო ახასიათებს. პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური. მან თავი უნდა შეიკავოს მსგავსი განცხადებებისგან.

***— ზეწოლის შესახებ პაპუაშვილის განცხადებამ პრეზიდენტს გაახსენა მისი პრობლემაც.***

— ფაქტი ერთი თვის წინ მოხდა. ხან ბოკერიას ხვდება, ხან პაპუაშვილს და, თუ მათი შეხვედრა მასზე ემოციურად აისახება, ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი სუსტი პიროვნებაა. არადა, პრეზიდენტი სუსტი პიროვნება არ არის. ვფიქრობ, ეს იყო პრეზიდენტისთვის შეუფერებელი ქმედება. თუ ნაციონალებს შეხვდა და „ოცნებაზე“ გააკეთა განცხადება, „ოცნების“ წარმომადგენლებს შეხვდა და ნაციონალებზე გააკეთა განცხადება, ეს არ არის ძლიერი პრეზიდენტის ქცევა. ჩემი შეფასებით, პრეზიდენტი ძლიერი პიროვნებაა.

***— მაშინ რატომ აკეთებს პრეზიდენტი მარგველაშვილი, თქვენი აზრით, შეუფერებელ განცხადებებს?***

— იმისთვის, რომ პოზიციები გაიძლიეროს.

***— ანუ პოლიტიკური მოტივი გიორგი მარგველაშვილსაც გააჩნდა?***

— ვფიქრობ, პრეზიდენტ მარგველაშვილსაც გააჩნია პოლიტიკური მოტივი. არა მგონია, თანახმა იყოს, ერთი ვადის შემდეგ დაუბრუნდეს პედაგოგიურ მოღვაწეობას. ის ვინმესთან ერთად ან ცალკე შეეცდება, შექმნას გარკვეული ძალა, რომელიც პარლამენტში მოვა და იქნება ხელისუფლებაში, რაც ლოგიკურია.

# ანა დოლიძე: „იუსტიციის საბჭომ მურუსიძის პოლიტიკური განცხადებები უნდა განიხილოს“

## ევა გოცირიძე არასამთავრობო ორგანიზაციებისგან განმარტებებს ითხოვს

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოუწოდებს, მოსამართლე ლევან მურუსიძის მიერ გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები განიხილოს, როგორც დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.

ამის შესახებ ანა დოლიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, როდესაც სტრასბურის სასამართლოს კანდიდატებთან დაკავშირებით ლევან მურუსიძის გუშინდელ განცხადებას გამოეხმაურა.

**ანა დოლიძე:**

— ლევან მურუსიძემ კომენტარებში არაერთი შეფასებითი განცხადება გააკეთა. მე მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ ლევან მურუსიძე არის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოქმედი მოსამართლე, მოსამართლეს ჩვენი ეთიკის სტანდარტებით ეკრძალება რაიმე პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობა, პოლიტიკური განცხადებების გაკეთება.

ანა დოლიძის აზრით, ეს პროცესი, რომელიც მან შეაფასა, არ უკავშირდება მის საქმიანობას, როგორც მოსამართლის, იმიტომ, რომ მურუსიძემ არაერთხელ გააკეთა საჯაროდ პოლიტიკური განცხადება და იღებს პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობას.

— მე მოვუწოდებ იუსტიციის საბჭოს, განიხილოს ეს, როგორც დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი და ჩაერიოს ამ საკითხში, — განაცხადა ქალბატონმა დოლიძემ.



მისივე თქმით, იუსტიციის საბჭო დაკომპლექტებულია სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებისგან და ამიტომ, იმედი აქვს, რომ ისინი სერიოზულად მოეკიდებიან როგორც სხვა შეტყობინებებს დისციპლინური გადაცდომის შესახებ, ასევე კონკრეტულად ამ შეტყობინებას, ლევან მურუსიძის, როგორც მოსამართლის მიერ გაკეთებულ პოლიტიკურ შეფასებებს.

* * *

გუშინ ლევან მურუსიძემ სტრასბურის სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურებზე ისაუბრა.

— გამოჩნდა ისიც, რომ რეალურად ვისაც დაუწერეს მაღალი შეფასებები და ამ მაღალი შეფასებების შედეგად ისინი დასახელებულნი იყვნენ კანდიდატებად სტრასბურის სასამართლოში, მე არ ვამბობ, რომ ისინი ცუდი იურისტები არიან.

ყოველ შემთხვევაში, არ ჰქონდათ იმხელა გამოცდილება, რომელიც დააკმაყოფილებდა სტრასბურის სასამართლოს სტანდარტებს, ამიტომ არ შეიძლება, რომ ადამიანს, რომელიც არის პროფესიონალი, კომპეტენციაში დაუწერო ნული, იმიტომ, რომ ის არ მოგწონს პიროვნულად, რომ მან მიიღო რაღაც გადაწყვეტილება, ამიტომ მოვუწოდებ ყველას, უნდა იყვნენ ობიექტურები შეფასებაში და საქმიანობაში, — განაცხადა ბატონმა მურუსიძემ.

* * *

ევროსასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა ევა გოცირიძემ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან განმარტებები ითხოვა.

— არასამთავრობო სექტორი თავიდანვე იყო ჩემი წინააღმდეგი. მიუხედავად მათი უსამართლობისა, მე მაინც მოვაგროვე იმდენი ქულა, რომ ვყოფილიყავი ხუთ მოწინავე პიროვნებას შორის, — განაცხადა მან.

მან ხაზი გაუსვა, რომ ყველა კანდიდატს სცემ პატივს, მათ შორის ანა დოლიძესაც.

— არავის წინააღმდეგი მე არ ვარ, თუმცა, რა თქმა უნდა, ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც არის პროფესიული გამოცდილება უშუალოდ ადამიანის უფლებათა სფეროში, აუცილებლად უნდა ყოფილიყო აწონილი და გაზომილი, — აღნიშნა ქალბატონმა გოცირიძემ.

სტრასბურის სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლეობის კანდიდატთა სამპირიან სიაში ნანა მჭედლიძეს ევა გოცირიძე ჩაანაცვლებს. აღნიშნული სია გასულ კვირას, მთავრობის სხდომაზე იქნა გადასინჯული.

გოცირიძის კანდიდატურასთან დაკავშირებით როგორც არასამთავრობო სექტორს, ისე პრეზიდენტის ადმინისტრაციას კითხვები აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

# „ნაციონალებს მოპარულ მილიონებს უკან მოვატანინებთ“

## ზვიად ჩიტიშვილი: „ამ ფულით პენსიის გაზრდას შევძლებთ“

რამ შეაშინა ყოფილი ხელისუფლება, რას ვერ აკეთებს „ქართული ოცნება“, ვის ხარჯზე შეიძლება პენსიის გაზრდა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი ესაუბრება.

**ზვიად ჩიტიშვილი:**

– პარტია „ჩვენი სამშობლო“ ყოფილი ხელისუფლებისთვის დიდ თავის ტკივილად იქცა. აქამდე ცდილობდნენ, არ შეემჩნიათ ჩვენი არსებობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათი კალიგულა ლიდერის ფიტული დავწვით, შეგვამჩნიეს, თანაც ისე შეგვამჩნიეს, რომ ჩვენს თანამოაზრე ტრისტან წითელაშვილს რაღაც სისულელე დააბრალეს. ამ გზით ცდილობენ, გადაფარონ ის ბრალდებები, რაც მათი მისამართით არის.

„ჩვენი სამშობლოს“ სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს და ყველა კითხვაზე საპასუხოდ მზად ვართ. ვთხოვ ჟურნალისტებს, ნუ მოიგონებენ რაღაცებს და პირდაპირ დაგვისვან კითხვები. პასუხებს ყველა კითხვაზე გაგცემთ. ასევე მზად ვართ, პასუხი ვაგოთ იმაზე, თუ რაიმე დანაშაული გვაქვს ჩადენილი.

ჩემთვის მთავარი სამართლიანი და თავისუფალი ქვეყნის აშენებაა. მიმაჩნია, რომ კანონის წინაშე ყველამ თანაბრად უნდა აგოს პასუხი. ამიტომაც ვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას. ნაციონალები კარგად ხვდებიან, რომ ჩვენ თუ მოვედით ხელისუფლებაში, მართლა მოვთხოვთ პასუხს.

***– მათთვის პასუხის მოთხოვნას „ქართული ოცნებაც“ აპირებდა, მაგრამ....***

– „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო ამის გაკეთება. მათ ხალხისთვის დანაპირების შესრულებას ნაციონალებთან კოაბიტაცია არჩიეს. ჩვენ მათთან საერთო ენას არასდროს გამოვნახავთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მოპარული ფულები უკან დააბრუნონ. ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი ფული მიიტაცეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ეს ფული ქვეყანას რომ მოხმარებოდა, საქართველო ასეთ გაჭირვებაში აღარ იქნებოდა, არც პენსია იქნებოდა ასეთი დაბალი და ხალხი შიმშილით არ დაიხოცებოდა. ნაციონალებს მოპარულ მილიონებს უკან დავაბრუნებინებთ. ამ ფულით მართლა შეიძლება პენსიის გაზრდა. ამას კარგად გრძნობენ ნაციონალები და ამიტომაც დაგვიწყეს ბრძოლა. ისინი იმასაც მიხვდნენ, რომ ჩვენ არც მათი მფარველის – ამერიკის რიდი და ხათრი გვაქვს. „ჩვენი სამშობლოა“ პირველი პარტია საქართველოში, რომელმაც ასე ღიად გამოხატა პრეტენზიები აშშ-ის საელჩოს მიმართ.

***– აშშ-ის საელჩოს მიმართ სხვა პარტიებსაც გამოუხატავთ პრეტენზიები.***

– პრეტენზიები გამოუხატავთ, მაგრამ საელჩოს წინ აქცია არავის გაუმართავს. ჩვენ კი პირდაპირ მოვთხოვეთ, შეწყვიტონ დამნაშავე რეჟიმის მფარველობა.

„ჩვენი სამშობლოა“ პირველი პარტია, რომელმაც გაბედა და ნაციონალების ოფისის წინ დაწვა სააკაშვილის ფიტული. ამით მთელ მსოფლიოს დავანახეთ, რომ საქართველოში ნაციონალებს არ დააბრუნებენ.



მათ ხელისუფლებაში ყოფნისას მილიონები და მილიარდები მიიტაცეს. ფულის კეთება ახლაც უნდათ და ყველა ღონეს ხმარობენ მიზნის მისაღწევად. იმდენად უსირცხვილოები არიან, რომ აგენტების გამოყენებასაც კი არ ერიდებიან, თავიანთი დანაშაულის დასაფარავად ჩვენ გვეძახიან აგენტებს.

სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრეს, ჩვენს თანაპარტიელ ტრისტან წითელაშვილს დააბრალეს, რომ თითქოს რუსებს გადასცა საიდუმლო ობიექტების სია. ამ ბრალდებებს დამტკიცება სჭირდება და, ამის გარდა, მიკვირს, როგორ ბედავენ ობიექტებზე ხმის ამოღებას. მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ სწორედ მათ გადასცეს რუსებს სტრატეგიული ობიექტები. ყველაზე აგრესიულად განწყობილ რუს პოლიტიკოსებთან თავად თანამშრომლობენ.

ბრალდებები იყო იარაღის გაყიდვასთან დაკავშირებითაც. ესეც სასაცილოა, რადგანაც თავად არიან იარაღის ყველაზე დიდი ბარიგები. არაერთმა ექსპერტმა თქვა, რომ მათი მმართველობის დროს სხვადასხვა ქვეყანაში გაიყიდა საქართველოსთვის გამოყოფილი იარაღი.

იარაღის გაყიდვით უამრავი ფული იშოვეს. ეს ფული ოფშორებში აქვთ გადამალული. ამ ამბავსაც მალე მოვფენთ სინათლეს და დოკუმენტურად დაგისაბუთებთ, რა თანხებს განკარგავენ ისინი.

მივმართავ ხელისუფლებასაც, სასწრაფოდ მიიღონ კანონი – საქართველოში მოქმედი არცერთი საწარმო არ უნდა იყოს უცხოეთში დარეგისტრირებული ფირმის კუთვნილებაში. ოფშორებში დარეგისტრირებული ფირმების საქმიანობაც ასაკრძალია. წარმატება თუ გვინდა, ყველაფერი გამჭვირვალე უნდა იყოს. ამ მხრივაც სცოდავს ხელისუფლება. ერთი მხრივ, იღებენ ისეთ კანონებს, თითქოს ყველაფერი გამჭვირვალეა, მაგრამ იქვე აქვთ ისეთი კანონები, ფულის გადამალვის საშუალებას რომ იძლევა.

ბიზნესიდან მოვდივარ და კარგად ვიცი, როგორ ხდება ფულის ბრუნვა. ესენი ვერაფერს დამიმალავენ. იმის უნარიც გამაჩნია, რომ დოკუმენტები ამოვქექო და ყველას დაგანახოთ, რამდენი ფული მოიპარეს ნაციონალებმა. მათმა რეაქციამ დამანახა, რომ სწორ გზას ვადგავართ.

ამ დღეებში დავაანონსეთ, რომ სააკაშვილის ფიტულებს მთელი ქვეყნის მასშტაბით დავწვავდით. დაპირება ძალაშია და ხუთშაბათს, 4 აგვისტოს, კალიგულას ფიტულს ბათუმში დავწვავთ.

***– ბათუმშიც პარტიის ოფისთან აპირებთ ფიტულის დაწვას?***

– თავიდან პლაჟზე ვაპირებდით, მაგრამ შესაძლოა ხალხი შეწუხდეს, ამიტომაც ისევ მათ ოფისთან მივალთ. ეს იქნება კიდევ ერთი მესიჯი მსოფლიოსთვის, რომ ქართველებს კანიბალები აღარ უნდათ. სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მათი ალაგმვა ვერ მოახერხა.

# ტრისტან წითელაშვილი: „ნაციონალებზე სკანდალურ ინფორმაციებს გამოვაქვეყნებ“

## რა ბრალდებებს უყენებს ყოფილი ხელისუფლება სამხედრო ექსპერტს

შორენა მარსაგიშვილი

სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი დღეს, 2 აგვისტოს, სკანდალური დოკუმენტების გასაჯაროებას აპირებს. სკანდალური დოკუმენტები მას ადრეც აუფრიალებია, მაგრამ ახლა ამბობს, რომ განსაკუთრებული სკანდალი გველოდება. ამ მასალების გასაჯაროება წითელაშვილს გიგი კალანდაძის ბრალდებებმა გადააწყვეტინა.

გიგი კალანდაძემ გადაცემა პოსტსკრიპტუმში განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ რამდენიმე მსხვილი საიდუმლო სამხედრო ობიექტი ააგო, რაზეც მილიონობით





ლარი დაიხარჯა, თავდაცვის მინისტრ მინდია ჯანელიძის პერიოდში კი, შესაძლოა, ამ ობიექტთა ნუსხა რუსულ სპეცსამსახურებს ჩაუვარდათ ხელში.

კალანდაძემ რუსთავი 2-თან საუბარში განაცხადა, რომ გასაიდუმლოებული ობიექტების კოორდინატები რუსულ სპეცსამსახურებს ტრისტან წითელაშვილმა გადასცა.

მისი თქმით, რუსული სპეცსამსახურების ხელში მიწისქვეშ არსებული საქართველოს ცენტრალური გასაიდუმლოებული მართვის შტაბის კოორდინატები და მისი ვიდეოკადრებია. ასევე რუსული სპეცსამსახურები ფლობენ საიდუმლო საცეცხლე წერტილების კოორდინატებს.

კალანდაძის მტკიცებით, წითელაშვილი საცეცხლე წერტილებზე მინდია ჯანელიძის მინისტრობის დროს დანიშნულმა გენინსპექციის თანამშრომელმა გოდერძი ორმოცაძემ შეიყვანა, რომელმაც საიდუმლო ბაზაზე შესვლა სამსახურებრივი საშვით შეძლო.

ამ ფაქტს ყოფილი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელიც გამოეხმაურა. ის ამბობს, რომ მაშინ, როცა მან თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის პოსტზე შეცვალა მინდია ჯანელიძე, სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდათ ინფორმაცია იმ კანონდარღვევის თაობაზე, რომელიც განხორციელდა უწყებაში და რომლის დროსაც თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელმა შეიყვანა ტრისტან წითელაშვილი სამხედრო ობიექტებზე. ხიდაშელის თქმით, სწორედ ამ ფაქტის გამო გაათავისუფლა მან თანამდებობიდან ორმოცაძე.

წითელაშვილს პასუხი ყველა ბრალდებაზე აქვს. „ახალ თაობასთან“ საუბარში ის ადასტურებს ინფორმაციას, რომ მართლაც იყო შესული თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე.

**ტრისტან წითელაშვილი:**

– ეს 2 წლის წინ მოხდა. მე მქონდა ინფორმაცია, რომ ნაციონალების დროს თავდაცვის სამინისტროში კოლოსალური თანხები გაფლანგეს. საუბარია ასეულობით მილიონ დოლარზე. ამ თანხების გაფლანგვაში ჩართული იყვნენ მიხეილ სააკაშვილი, ბაჩანა ახალაია, გიგი კალანდაძე, გივი თარგამაძე.

ჩვენ თავდაცვის სამინისტროდან ამოვიღეთ დოკუმენტაცია, სადაც ეწერა, თითქოს ესა და ეს თანხა ამა და ამ მიზნით დაიხარჯა. სინამდვილეში არაფერი იყო გაკეთებული და ეს ფული ნაციონალების ჯიბეში იყო წასული.

***– რა თანხაზეა საუბარი?***

– სადღაც 300 მილიონზე. მე მივმართე თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომ შეესწავლათ, სად წავიდა ეს თანხები. რამდენჯერმე შევხვდი გენინსპექციის წარმომადგენლებს და მათგანაც მივიღე ინფორმაციები. მთელი ეს პერიოდი ვახმაურებდით თავდაცვის სამინისტროში არსებულ დარღვევებს. რამდენჯერმე მივმართეთ პროკურატურასაც და მათაც გადავეცით დოკუმენტები.

მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვედი, უამრავი მასალა მოვიძიე, ფაქტებითა და ციფრებით წარმოვადგინე, როგორ ითვისებდნენ თანხებს, ასევე დეტალებში შევისწავლე, როგორ ხდებოდა იარაღის გადაყიდვა, გავარკვიე ისიც, როგორ ჩამოწერეს 2008 წელს დიდი ოდენობის შეიარაღება. ამის შესახებ ვსაუბრობდი მედიით, ხოლო დოკუმენტები რეაგირებისთვის პროკურატურაში მიმქონდა.

***– საიდუმლო ობიექტებზე რა მიზნით შეხვედით? მართლა გადაეცით გადაღებული მასალა რუსებს?***

– საიდუმლო ობიექტები როგორ უნდა მომენახულებინა? მათზე არც დაშვება მქონდა და, შესაბამისად, არც გადაღება მიწარმოებია, მით უმეტეს, არ გადამიცია რუსებისთვის. ამ ბრალდებებს რომ მიყენებენ, ისიც თქვან, სად გადავეცი რუსებს ეს დოკუმენტები.

***– ამ პერიოდში ქვეყნის გარეთ თუ ხართ გასული?***

– მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვედი, საქართველოდან არსად გავსულვარ. საზღვარი არ გადამიკვეთია. ნაციონალები ისეთ დღეში არიან, უკვე ასეთ სისულელეებს იგონებენ, რომ თურმე მინდია ჯანელიძემ ჩემი დახმარებით გადასცა რუსებს საიდუმლო ობიექტების ნუსხა.

ჯანელიძის ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ ამ კაცს ამის გაკეთება რომ მოენდომებინა, ჩემ გარეშე მოახერხებდა, ესენი კი ამტკიცებენ, რომ თურმე მე გადამალებინა. კაცი თავდაცვის მინისტრი იყო, ამხელა აპარატი ჰქონდა და გადამღებს ვერ მონახავდა?

მე კარგად ვიცი, რამაც გაამწარა ნაციონალები. მათ წინ ელოდებათ მთავარი სიმწარე. 2 აგვისტოს ამ თემაზე სკანდალური მასალების გასაჯაროებას ვაპირებ.

***– რა მასალებზეა საუბარი?***

– იმაზე, თუ რაში ხარჯავდნენ ფულს. მათ ძალიან ცუდად ხვდებათ გულზე ის ინფორმაციები, რომლებსაც მე ვაჟღერებ.

***– თუმცა აქამდე არასდროს უთქვამთ თქვენზე, რომ საიდუმლო დოკუმენტები რუსებს გადაეცით.***

– ახლა განსაკუთრებით გამწარდნენ. წინა კვირაში სააკაშვილის ფიტული დაწვეს. ამ ღონისძიებაში მეც მივიღე მონაწილეობა, ჩემი ხელით დავასხი ფიტულს ბენზინი. ეტყობა, სააკაშვილს ნერვებმა უმტყუნა და თავისიანებს დაავალა, ჩემზე შური იძიონ. მათ ასეთი სიბინძურე დამაბრალეს.

ამ დღეებში მე მათ წინააღმდეგ სარჩელის შეტანას ვაპირებ. ნაციონალების გარდა, რუსთავი 2-საც უნდა ვუჩივლო. ჟურნალისტებს რომ არასდროს ვემალები, ეს ყველამ იცის. ამ ტელეკომპანიამ კი ისე გააკეთა სიუჟეტი, თითქოს შემოიპარნენ და ჩუმად ჩამწერეს. ეს არის სიცრუე და ამისთვის ვუჩივლებ, მივმართავ პროკურატურას და მოვითხოვ, რომ რაც შეიძლება მალე დამკითხონ. ბევრი საინტერესო რამე მაქვს სათქმელი.

***– საიდუმლო ობიექტების თემაზე?***

– ხელთ მაქვს კონკრეტული ფაქტები, თუ როგორ ხდებოდა ნაციონალების მიერ საბიუჯეტო სახსრების მითვისება. ობიექტების ნახვას რაც შეეხება, თელეთის თავზე მაქვს რაღაც ობიექტი გადაღებული, რომელიც საიდუმლო სულაც არაა. ეს ობიექტი ასე იმიტომ მონათლეს, რომ იქ ბიზნესმენებისთვის წართმეული ქონება ჰქონდათ დამალული.

***– რა ქონებაზეა საუბარი?***

– მძიმე ტექნიკა, ბულდოზერები, ტრაქტორები. ყველაფერი აქ იყო თავმოყრილი და, სხვებს რომ არ ენახათ, საიდუმლო ობიექტი დაარქვეს. ეს ობიექტი თინა ხიდაშელმა გააუქმა.

***– ხიდაშელი ახსენეთ და ისიც ამბობს, რომ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შევიდა უცხო პირი საიდუმლო ობიექტებზე.***

– ხიდაშელი ნაციონალების გზის გამგრძელებელია. მას ურჩევნია, საკუთარ საქმეებს მიხედოს. მინისტრად რომ დაინიშნა, რამდენიმე თვეში ჟურნალისტები წაიყვანა და სამხედრო ბაზები თავიდან ბოლომდე გადააღებინა. კარგი იქნება, პროკურატურა ამითაც თუ დაინტერესდება.

ნაციონალებსა და ხიდაშელს ეგონათ, რომ ამ ინფორმაციის გაჟღერებით შავ პიარს ამიგორებდნენ. სინამდვილეში პირიქით მოხდა. ისეთ დოკუმენტებს წარმოვადგენ, ნაციონალები კიდევ უფრო გამწარდებიან. მათი რეაქცია მაფიქრებინებს, რომ სწორ გზას ვადგავარ და იმ ინფორმაციებს მივაგენი, რომელთა გახმაურებაც მათ არაფრით აწყობთ. წინ ყველას დიდი სიურპრიზი ელოდება.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ადა მარშანია: „ენდიაიმ მესამე ადგილი მოგვაკუთვნა, მაგრამ ჩვენი რეიტინგი სხვაა“

## „ქართული ოცნების“ ახალი სახეები დაქოქილი თოჯინების შთაბეჭდილებას ტოვებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ენდიას ბოლო კვლევის თანახმად, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გარშემო შექმნილმა ბლოკმა პოლიტიკურ სუბიექტებში მესამე ადგილი დაიკავა. მიუხედავად ასეთი შედეგისა, ამ კვლევას მაინც უნდობლად უყურებენ პატრიოტთა ალიანსში. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციის წინა კვლევები უფრო მეტად იყო აცდენილი რეალობას.**

**ადა მარშანია:**

– ჩვენ მესამე ადგილი გვარგუნეს, თუმცა რეიტინგების გამომხატველი ციფრები არ არის ახლოს სინამდვილესთან. ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ ენდიაი ადრე საერთოდ იგნორირებას გვიკეთებდა და არც კი გვახსენებდა. ამის წინააღმდეგ ვიბრძოდით. ეტყობა, ამ ბრძოლის შედეგია ის, რომ გვახსენეს და სამეულში შეგვიყვანეს. რეალობას არ ასახავს ციფრები. მაგალითად, 7 ან 8%-იანი რეიტინგი არასწორი ციფრებია. კვლევებს მუდმივად ვატარებთ და რეალობა ვიცით.

ნამდვილად არ გვინდა ჩვენი თავის მოტყუება. ამ კვლევებით გაცილებით მეტი მხარდაჭერა გვაქვს. სამწუხარო ისაა, რომ ყალბი კვლევები ხდება საზოგადოების მანიპულირების საშუალება. არიან ძალები, რომლებსაც ეს სჭირდებათ. ასეთი კვლევები და ეგზიტპოლები რომ სასარგებლო არ არის, ამას აკრძალვებიც მოწმობს. მაგალითად, საფრანგეთში ეგზიტპოლები საერთოდ აკრძალულია.

***– თქვენს ბლოკს მეორე ადგილზე აქვს პრეტენზია?***

– ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ან რაიონში მეორე ადგილზე ვართ, ზოგან „ქართულ ოცნებასაც“ ვუსწრებთ და პირველზე გავდივართ. თუ საარჩევნო პროცესები სამართლიანად წარიმართა, თუ არ მოხდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და არჩევნებში დიდძალი შავი ფულის ჩართვა, ამ მდგომარეობას შევინარჩუნებთ.

***– „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს ახალ სახეებს სთავაზობს. შეიძლება, ეს მათი შიდაპარტიული საქმე იყოს, მაგრამ, თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება ეს განახლება?***

– ეს მათი შიდაპარტიული საქმე არ არის. როდესაც მმართველი პარტია ასეთ ნაბიჯებს დგამს, ეს ყველა ჩვენგანის საქმეა. მათი საქმეები აისახება ქვეყნის განვითარებაზე. ვიწროპარტიულად თუ მივუდგებით, რაც სხვისთვის უარესია, ჩვენთვის უკეთესია. საქმე ისაა, რომ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა იქნება უკეთესი ქვეყნისათვის.

***– ანუ არ ფიქრობთ, რომ ეს ახალი სახეები ქვეყანას გამოადგებიან?***

– ისინი არ ტოვებენ კვალიფიციური კადრების შთაბეჭდილებას. პოლიტიკაში ისედაც არიან ნაკლები კვალიფიკაციის მქონე ადამიანები. გაუგებარია, რა მიზანს ისახავს ახალი პირების მოყვანა. ამ ადამიანებს უცხოეთში გავლილი აქვთ კურსები, ბევრი მათგანი იყო მოხელე, მაგრამ რისთვის მოჰყავთ ისინი პოლიტიკაში? ქვეყანას რით გამოადგებიან?!



***– არის მოსაზრება, რომ ისინი ნაკლები ემოციურობით ჩაერთვებიან დებატებში.***

– ეს ახალი სახეები მინახავს ტელეეთერებში. მათ საუბარი არ უჭირთ, მაგრამ მაინც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ. ეს სახეები მაგონებენ დაქოქილ მექანიკურ თოჯინებს. მათგან ერთ ცოცხალ სიტყვას ვერ გაიგონებ. ხალხს ეს არ მოსწონს. ადამიანები აფასებენ ღია და გულწრფელ ურთიერთობებს.

***– თქვენ და თქვენი თანამოაზრეები, წინააღმდეგობის მოძრაობის არსებობიდან მოყოლებული, ებრძვით ნაციონალურ მოძრაობას. შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ახლა ნაციონალური მოძრაობა გაძლიერდა?***

– არა, გაძლიერებით არ გაძლიერებულა. შეიძლება იმის თქმა, რომ ნაციონალური მოძრაობა გადარჩა. ის აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში, არჩევნებში. მისი გადარჩენა „ქართული ოცნების“ კისერზეა.

პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორგანიზაციის გადარჩენა დანაშაულია. ეს მოიტანა „ქართული ოცნების“ მიერ გამოცხადებულმა კოაბიტაციამ. ხალხს ვხვდებით და ვიცი, რომ ეს უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში. უბედურება ისაა, რომ „ქართულ ოცნებას“ ურჩევნია, ოპოზიციაში ნაციონალური მოძრაობა ჰყავდეს, ვიდრე სხვა ღირსეული ძალა. ამის მიზეზი ყველამ იცის.

# რა პრობლემები შეიძლება შეუქმნან საქართველოს ჯიჰადისტებმა

სოსო ზაალიშვილი

**ინტერნეტში გამოჩენილმა ვიდეორგოლმა, რომელშიც ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და რუსეთს აფეთქებებითა და განადგურებით ემუქრებიან, მსოფლიო მედიისა და უსაფრთხოების ექსპერტების ყურადღება მიიპყრო.**

რუსეთის მიმართ ასეთი სახის მუქარა პირველი არ არის.

ჯერ კიდევ 1994-96 წლებში ჩეჩნეთის ინფორმაციის დეპარტამენტი ხშირად იყენებდა ანალოგიურ ხერხებს. ვიცეპრემიერ მოვლადი უდუგოვის უწყების პროპაგანდისტული მანქანა გარკვეული პერიოდულობით აქვეყნებდა მუქარის შემცველ მასალებს, თუმცა იმ დროისთვის ინტერნეტტექნოლოგია არ იყო განვითარებული და ჩეჩენ პოლიტტექნოლოგებს მასალის სხვადასხვა მედიასაშუალებაში განთავსება უწევდათ.

დღეს ანალოგიური მასალის გამოქვეყნება არ წარმოადგენს პრობლემას, რაც მთავარია, რთულია ავთენტურობის დადგენა. 90-იან წლებში წყაროს დადგენა არ წარმოადგენდა სირთულეს. ცნობილი იყო მედიასაშუალების კავშირი ჯიჰადისტურ ორგანიზაციებთან. მაგალითად, ზოგიერთი დასავლური და რუსული მედიასაშუალების მიერ გამოქვეყნებული მუქარის შემცველი ინფორმაცია სანდოობით სარგებლობდა, რადგან ამ საინფორმაციო საშუალებებს ნამდვილად ჰქონდათ კავშირი უდუგოვის ინფორმაციის დეპარტამენტთან.

ინტერნეტში თითქმის ყოველდღიურად ჩნდება ახალ-ახალი სააგიტაციო მასალა. საიტებზე ტერორიზმის, ძალადობისკენ მოწოდების შემცველი კლიპები ვრცელდება. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანი წარმოადგენს ნამდვილ საფრთხეს. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი კლიპები ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანების შექმნილია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც.

შესაძლოა, სწორედ ასეთ გამონაკლისთან გვქონდეს საქმე ამ კლიპთან დაკავშირებითაც. მოწოდება დროში თურქეთსა და ევროკავშირს შორის ვითარების დაძაბვას დაემთხვა.

მიუხედავად ერდოღანის მისწრაფებისა, გამხდარიყო სუნიტური ისლამური სამყაროს ლიდერი, მის მორჩილებაში მყოფი ძალისმიერი სტრუქტურები აქტიურად თანამშრომლობდნენ დასავლეთის სპეცსამსახურებთან.

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბრიუსელის ტერაქტში ეჭვმიტანილ, თურქეთიდან დეპორტირებულ იბრაჰიმ ბაკრაუის ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირების შესახებ ინფორმაცია ბელგიის სამართალდამცავებს თურქეთის სპეცსამსახურებმა მიაწოდეს. ბელგიელებმა უგულებელყვეს ინფორმაცია და შედეგად ევროკავშირის დედაქალაქში უსასტიკესი ტერაქტი მიიღეს.

დღეისთვის დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასეთი თანამშრომლობა აღარაა.

დასავლეთზე განაწყენებული ერდოღანმა მთლიანად ჩამოშალა ნატოს თავდაცვითი სისტემა თურქეთში. პრაქტიკულად დაშლილია თავდაცვის სამინისტრო და პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო. ამ სისტემის შემადგენელი და მნიშვნელოვანი ნაწილი კი დაზვერვაა, რომელსაც ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება ევალება.

ჯიჰადისტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისთვის თურქეთს მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნებოდა. ინფორმაციის ანალიზსა და დამუშავებას, ალბათ, ნატოს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები აწარმოებდნენ, მაგრამ სირიის მიმართულებით ინფორმაციის მოპოვება სწორედ თურქეთის პრეროგატივა გახლდათ.



ასეც რომ არ იყოს, არა მგონია, დღეისთვის ერდოღანს ძალიან ადარდებდეს ევროპელების უსაფრთხოება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიის ქალაქ კიოლნში მის მხარდასაჭერად გამართულ მრავალათასიან მიტინგზე, გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირდაპირი ჩართვისა და მომიტინგეებისთვის მიმართვის საშუალება არ მიეცა.

რუსეთი ჯიჰადისტებთან სირიაში ბრძოლაში თითქმის ერთი წელია ჩაბმული. თურქეთის მიერ დასავლეთთან გაწყვეტილი კავშირის შემდეგ ამ ორ ქვეყანას უფრო მეტი საერთო ინტერესი გაუჩნდა, ვიდრე მანამდე ჰქონდა. თუმცა ინტერესებს საერთო პრობლემებიც დაემატა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა თურქეთის ტერიტორიაზე მოჯაჰედების არსებობაა.

ერდოღანის ინტერესებში ნამდვილად აღარაა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებში კარგად გაწვრთნილი ჯიჰადისტების თურქეთში ყოფნა. ამერიკული და ევროპული დახმარების, ძალისმიერი სტრუქტურების გარეშე დარჩენილი თურქეთის პრეზიდენტისთვის მათთან გამკლავება პრაქტიკულად შეუსრულებელი დავალებაა. ერდოღანს ყველგან ღალატი ელანდება და ასეთი ადამიანით მანიპულირება არ წარმოადგენს სირთულეს.

* * *

ისლამური სახელმწიფოსა და სხვა ჯურის ჯიჰადისტები ცენტრალიზებულ მმართველობას არ ემორჩილებიან. ისინი ცნობენ ხალიფასა და სხვა ლიდერებს, გარკვეულ დაფინანსებას ცენტრალიზებულადაც იღებენ, მაგრამ ძირითადი დაფინანსების წყარო მაინც სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების წარმომადგენლები არიან.

ეს ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის ერთგვარი ნოუჰაუა.

ასე იყო ჩეჩნეთშიც. ცნობილ საველე მეთაურებს საკუთარი წარმომადგენლები გააჩნდათ სხვადასხვა ქვეყანაში და მათი საშუალებით ხდებოდა ჯიჰადისთვის თანხების მოძიება. წარმომადგენლობები აზერბაიჯანში, ირანში, თურქეთში, საუდის არაბეთში, საემიროებში, ყატარში, პაკისტანში, ავღანეთსა თუ სხვა ისლამურ ქვეყნებში მრავლად იყო. ასეთი წარმომადგენლობა საქართველოშიც იყო.

თანხები ძირითადად მოჯაჰედების ტრანსპორტირებისთვის, იარაღის, საბრძოლო მასალების, კომუნიკაციის საშუალებებისა და ომის წარმოებისათვის საჭირო საქონლის შესაძენად გამოიყოფოდა.

მაგრამ როგორ უნდა დაუმტკიცო სპონსორს თანხის გამოყოფის აუცილებლობა?

სწორედ ამისთვის გამოიყენება ჯიჰადისტური რეკლამა ანუ ინტერნეტში ატვირთული კლიპები. პროცესი თითქმის ანალოგიურია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსების მოთხოვნისა. უბრალოდ, გრანტის თემა და მოთხოვნის ფორმაა განსხვავებული. მაძიებელმა უნდა დაამტკიცოს მოცემულ ტერიტორიაზე ჯიჰადის წარმოების აუცილებლობა, ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება და აუცილებლად გამოინახება შეიხი, რომელსაც სხვისი ნაბრძოლით მოუნდება სამოთხეში მოხვედრა. ის აუცილებლად გამონახავს წმინდა ჯიჰადის აღსასრულებელ თანხას.

* * *

რა საფრთხეს შეიცავს რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი პირის მიმართ მუქარა ჩვენი ქვეყნისთვის?

პირველ რიგში, ეს ჯიჰადისტური წრეების ჩვენი რეგიონის მიმართ არაჯანსაღი ინტერესის გაჩენის საფუძველია. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო ესაზღვრება რუსეთს და მასთან მთლად კეთილმეზობლური ურთიერთობები არ გაგვაჩნია.

ფაქტია, რომ მრავალი მებრძოლი თავის დროზე ჩეჩნეთში და შემდეგ ახლო აღმოსავლეთში სწორედ საქართველოს გავლით აღმოჩნდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წლის ევროპაში ტერორიზმის არსებული საფრთხეების შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, საქართველო მოჯაჰედებისა და ნარკოტიკების გადაადგილებისათვის ერთგვარ დერეფანს წარმოადგენდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავრომა წლის დასაწყისში გაიხსენა პანკისის ხეობა და იქ არსებული მდგომარეობა. ამას დავუმატოთ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს ნათქვამი, რომ ისლამური სახელმწიფოს გავლენიანი ამირი აჰმედ ჩატაევი საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა და ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად არ ისახება სახარბიელო მდგომარეობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლის შესახებაც საუბარს საქართველოს ხელისუფლება და პოლიტიკური პარტიები ჯიუტად არიდებენ თავს, უკანონო ემიგრაციის პრობლემაა.

არა მგონია, შინაგან საქმეთა, უშიშროების ან იუსტიციის სამინისტრომ დარწმუნებით გვითხრას, რომელი ქვეყნებიდან და რამდენი უკანონო ან არალეგალურად მცხოვრები ემიგრანტია საქართველოს ტერიტორიაზე.

არ ვაკნინებ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდისთვის გადადგმულ ნაბიჯებს, მაგრამ რატომღაც ეჭვი მეპარება, რომ საქართველოში გერმანიიდან, საფრანგეთიდან ან ევროპის, თუნდაც აზიის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან ჩამოვიდეს ვინმე, რათა არალეგალურად იცხოვროს აქ.

ძირითადად არალეგალები აზიისა და აფრიკის მუსლიმური ქვეყნებიდან არიან და ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე ცხოვრობენ საქართველოში.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ გაითვალისწინა ევროკავშირის მოთხოვნა და საზღვრის დაცვის რეფორმირება განახორციელა, ბევრი ემიგრანტი საქართველოში მწვანე ზოლიდან სრულიად უკანონოდ შემოვიდა. არიან ისეთებიც, რომლებიც კანონიერად შემოვიდნენ საქართველოში, მაგრამ დარჩენის ვადის გასვლის შემდეგ არ დატოვეს ქვეყანა, რაც მათ არალეგალად აქცევს.

საქართველოში მუსლიმ არალეგალებს ემატება რამდენიმე ათეული ათასი თურქეთის მოქალაქე, რომლებსაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა გადასცა. სადაა ახლა ეს ხალხი? რას საქმიანობს? წარმოადგენენ თუ არა ისინი საშიშროებას ეროვნული უსაფრთხოებისთვის თურქეთში მიმდინარე

გაგრძელება მე-10 გვერდზე



# ბრონქული ასთმა ალერგიული დაავადებაა

**ალერგიული დაავადებისადმი მიდრეკილება განსაკუთრებით შეიმჩნევა უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ცივილიზებულ ქვეყნებში. მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ამ დაავადების გავრცელების მაჩვენებელი ბავშვთა მოსახლეობის 1000 ადამიანზე 10-25 შემთხვევანდე მერყეობს.**

დაავადებას უპირატესად იწვევს გარეგანი ფაქტორები, ეგრეთ წოდებული, ეგზოალერგენები, ესენია სხვადასხვა მცენარეები, ოთახის მტვერი, საღებავები, საკვები პროდუქტები, ხილი. განსაკუთრებით მკვეთრი შეფერილობის სუნამო, სიცივე, სიცხე, საყოფაცხოვრებო სუნები, მედიკამენტები; შრატები, ვაქცინები, ანტიბიოტიკები და სხვა უამრავი რამ, რაც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელია.

სამედიცინო ლიტერატურაში ასეთი გამოთქმა არსებობს: ინფექციის ერა მიდის (იგი დაძლეულია ადამიანის, მედიცინის მიღწევებით), ხოლო ალერგიის ერა მოდის. ეს თემა სამედიცინო მეცნიერებაში, მიუხედავად მრავალი წარმატებისა, ჯერ კიდევ ბოლომდე შესწავლილი არ არის.

პათოლოგიური პროცესის რეალიზაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობით განწყობას როგორც დედის, ისე მამის მხრიდან, დედისა და ბავშვის სისხლის შეუთავსებლობას. ალერგიული დიათეზის მნიშვნელობა, ამ თვალსაზრისით, ეჭვს არ იწვევს. უკანასკნელ ხანებში წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომელიც ბრონქულ ასთმას განიხილავს, როგორც ადრენერგიული რეცეპტორების ნაწილობრივ მემკვიდრეობით დეფექტს.

ასთმური შეტევების წარმოქმნასა და მის რეციდივებში აღსანიშნავია აგრეთვე ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა. დაავადებულ ბავშვთა უმეტესობა ემოციური ხასიათისაა. გარკვეულ საფრთხეს ქმნის დისკომფორტი ოჯახში. განსაკუთრებით, თუ დედა-შვილი განსხვავებული ფსიქიკის მატარებლები არიან. და-



ავადების განვითარება საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი ხასიათისაა. ალერგიული რეაქციები სამ ურთიერთდამოკიდებულ სტადიებს მოიცავენ. ესენი არიან: იმუნოლოგიური, პათოქიმიური და პათოფიზიოლოგიური.

იმუნოლოგიურ სტადიაში მიმდინარეობს ურთიერთმოქმედება ალერგენსა და ანტისხეულს შორის, ან ალერგენსა და სენსიბილიზებულ ლიმფოციტებს შორის. პათოქიმიურ სტადიაში ხდება ანთების მედიატორების განთავისუფლება. (ჰისტამინის, სეროტონინისა და სხვა) ამ ნივთიერების განთავისუფლება ხდება ბაზოფილებიდან, ან სენსიბილიზებული ლიმფოციტებიდან. დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციის დროს ამ მედიატორების განთავისუფლება ხდება ბაზოფილებიდან, ხოლო დაყოვნებული ტიპის ალერგიული რეაქციის დროს, სენსიბილიზებული ლიმფოციტებიდან. ალერგიულ რეაქციათა პათოფიზიოლოგიური სტადიისათვის დამახასიათებელია ორგანიზმში ფუნქციური და მორფოლოგიური ცვლილებების განვითარება. ანტისხეულის კონფლიქტის დროს, გამონთავისუფლებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მოქმედების შედეგად ხდება დაავადების კლინიკური სურათის განვითარება. ბრონქული ასთმის სხვადასხვა ფორმა იმუნურ რეაქციათა ხასიათით განისაზღვრება.

* * *

ძირითადად გვაქვს ოთხი ტიპის ალერგიული რეაქციები, რომლებიც განსაზღვრავენ ბრონქული ასთმის განვითარებას.

პირველი ტიპის რეაქციები. ანაფილაქსიური ან ატოპიური, რომლის დროს ალერგიული რეაქციები ვითარდება ალერგენისა და ჰუმორალური ანტისხეულების მოქმედების შედეგად.

ესენი ფიქსირდებიან ფილტვებში, წვრილ ნაწლავებში, კანში.

მეორე ტიპის ალერგიული რეაქციები, ციტოტოქსიურია. ვითარდება ანტისხეულების უჯ-



რედის ანტიგენთან მოქმედების შედეგად. ასეთი ალერგიული რეაქციები კომპლემენტის და ალერგიული ანტისხეულების მონაწილეობით მიმდინარეობს.

მესამე ტიპის ალერგიული რეაქციები ხასიათდებიან სისხლძარღვებში იმუნური კომპლექსების წარმოქმნით და მათი განლაგებით წვრილ სისხლძარღვთა უჯრედის მემბრანებზე.

ინფექციურ ალერგიული ფორმის ბრონქული ასთმის განვითარებაში წამყვანია, სენსიბილიზებული ლიმფოციტების კონტაქტი სპეციალურ ანტიგენთან.

ბრონქული ასთმის ატოპიური ფორმის შემთხვევაში პათოგენეზური პროცესები ვითარდება არა იმუნოლოგიურ ფაზაში, არამედ, მაშინ, როდესაც დამატებითი არასპეციფიური ზემოქმედება ხდება ორგანიზმზე. მაგალითად, ემოციები, სტრესები, გარემოს მეტეოროლოგიური ცვლილებები.

პათოქიმიურ ფაზაში ირღვევა ქსოვილოვანი ჰორმონების სინთეზი. ეს აქვეითებს ბრონქების რეფლექსური შევიწროების ზღურბლს. პათოფიზიოლოგიური ფაზის დროს ადგილი აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის ჰორმონული და მეტაბოლიზმის ფუნქციების მოშლას, რის შედეგადაც შეიძლება განვითარდეს ბრონქოსპაზმი, მისი ლორწოვანი შეშუპება, ბრონქების სანათურის შევიწროება, ბრონქის კედლებიდან შესქელებული გამონადენის გაძლიერებული გამონაყოფის გამო. კლინიკური სურათის მიხედვით, არჩევენ სამ პერიოდს. ეს არის პროდრომული, ანუ შესავალი, საკუთრივ ასთმური და შეტევის შემდგომი პერიოდები.

პროდრომული პერიოდი რამოდენიმე საათიდან რამოდენიმე დღემდე გრძელდება. ამ დროს ადგილი აქვს მოუსვენრობას, თავის ტკივილს, ძილის დარღვევას, აღგზნებას, ან პირიქით, მოდუნებას. ბავშვს ეწყება ცემინება, ცხვირიდან ლორწოვანი გამონადენი, სუნთქვა თანდათან უძნელდება. აღენიშნება მშრალი, მსტვენავი ხასიათის ხიხინი. ტემპერატურა ნორმალური, ან ოდნავ მომატებულია.

საკუთრივ ასთმის შეტევა უფრო ხშირად ვითარდება ღამით. ავადმყოფს ეწყება მოუსვენრობა, შიში, ცდილობს ღრმად ჩაისუნთქოს. იძულებულია ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში იყოს. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ვერ სუნთქავს. აღენიშნება ციანოზი, მაჯის აჩქარება.

სუნთქვის აქტი გაძნელებულია. ეწყება ქოშინი. სუნთქვაში მონაწილეობს დამხმარე კუნთები. (მუცლის, გულმკერდის) ამოსუნთვა, ამოხველება გაძნელებულია. ნახველი ქაფისებური, მცირე რაოდენობისაა. შეტევის შემდგომ ავადმყოფი მოდუნდება, ეწყება ძილიანობა, უნელდება მაჯა, ეცემა წნევა. ზოგ შემთხვევაში გამოიყოფა დიდი რაოდენობით ნახველიც. ბავშვებში, მოზრდილებისაგან განსხვავებით, გამოირჩევა ასთმის სხვადსხვა ვარიანტები. ეს არის ასთმური ბრონქიტი, რომელიც ძირითადად სკოლამდელ ასაკში გვხვდება.

იგი ვითარდება მწვავე რესპირატორული ინფექციების ფონზე. უმეტესად ალერგიული დითაეზის დროს. ამ დროს, ყურადღებას იპყრობს კატარალური მოვლენები, ხველა, სურდო, სუნთქვის გაძნელება, ხმაურიანი ქოშინი, ასეთი ბავშვები მიდრეკილნი არიან ფილტვების ანთებისაკენ, ხშირად ავადობენ. საჭიროებენ განსაკუთრებულ მეთვალყურეობას მშობლისა და უბნის ექიმის ან ალერგოლოგის მიერ. როგორც წესი 4-6 წლისათვის სათანადო მკურნალობის შედეგად ეს მოვლენები გაივლის.

ასთმური მდგომარეობა ვითარდება თანდათანობით, შეტევისაგან განსხვავებით, იგი მიმდინარეობს გაცილებით ხანგრძლივად, ზოგჯერ კვირებისა და თვეების განმავლობაშიც კი. ბავშვის ციანოზური ელფერი და სიფერმკრთალე მისი ფიზიკური დატვირთვისას უფრო თვალსაჩინო ხდება. ასეთ ავადმყოფებს აქვთ დაუძლეველი ხველა. პერიოდულად ამოსუნთქვითი ხასიათის ქოშინი.

ამოსუნთქვა გაძნელებულია, გახანგრძლივებული. ამ დროს ფილტვებში ფონონდოსკოპით მოისმინება შესუსტებული სუნთქვა, ან წვრილბუშტუკოვანი სველი ხიხინი შესუნთქვის დროს. ბრონქული ასთმის შეტევების დროს, შეიძლება განვითარდეს სასუნთქი და გულსისხლძარღვთა სისტემის გართულებები. მაგალითად, ფილტვის ატელექტაზი (ჩაფუშვა), ენფიზემა (მუდმივად ჩასუნთქულ მდგომარეობაში მყოფი ფილტვები), გულის მწვავე უკმარისობა, (ძირითადად გვხვდება მოზრდილ ასაკში).

ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს: ალერგიული (ატოპური) და ინფექციურ-ალერგიული.

დაავადების პერიოდების მიხედვით შეიძლება იყოს, შეტევის პერიოდი, ასთმური ბრონქიტი, ასთმური მდგომარეობა და შეტევათაშორისი პერიოდი.

მიმდინარეობის სიმძიმის მიხედვით შეიძლება იყოს – მსუბუქი, საშუალო და მძიმე.

გართულებების მიხედვით: 1. ფილტვისმიერი გული 2. პნევმოსკლეროზი 3. ფილტვის ემფიზემა 4. ატელექტაზი 5. ნერვული და ენდოკრინული სისტემების დარღვევები.

* * *

პროფილაქტიკა – ასთმისადმი მემკვიდრეობითი დისპოზიციის შემთხვევაში, სასურველი არ არის წონაში ინტენსიური მატება. ბავშვის მიერ მიღებული საკვების კალორაჟი არ უნდა აღემატებოდეს მინიმალურ დონეს. პროფილაქტიკური აცრების დროს, უნდა მოხდეს ასეთი ბავშვების დესენსიბილიზაცია, ანუ აწეული მგრძნობელობის დაქვეითება ალერგიული კომპონენტების მიმართ. აცრამდე სამი დღით ადრე და აცრიდან სამი დღე, ბავშვებს ეძლევათ ანტიჰისტამინური პრეპერატები. მაგალითად, სუპრასტინი და ა.შ.ზაფხულის არდადეგების დროს, მიზანშეწონილია ბავშვის გაყვანა მშრალი ჰავის პირობებში. დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის წრთობას. ფსიქოლოგიური სიტუაციების მოწესრიგებას და რაც მთავარია, აუცილებელია ბავშვის ორგანიზმში არსებული ქრონიკული ინფექციური კერების მკურნალობა.

**მკურნალობა – ბრონქული ასთმის მკურნალობა სამეტაპიანია.**

1. გადაუდებელი თერაპია, უშუალოდ შეტევის დროს.

2. დაავადების რემისიისთვის ჩატარებული მკურნალობა

3. სპეციფიური ჰიპოსენსიბილიზაცია (აწეული მგრძნობელობის დაქვეითება),გადაუდებელი თერაპია მიმართულია ბრონქების მუსკულატურის სპაზმის მოხსნისაკენ, რისთვისაც გამოიყენება ბრონქოსპაზმოლიტური საშუალებები. არის მედიკამენტები, რომლებიც ბრონქოსპაზმოლიტიკების გარდა შეიცავენ დამამშვიდებელ, ამოსახველებელ, ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს.

* * *

ბრონქული ასთმის შეტევის მკურნალობა:

მსუბუქი ფორმის დროს გამოიყენება ბრონქოლიტიკები დასალევად ან ინგალაციები. საშუალო სიმძიმის დროს გამოიყენება სწრაფად მოქმედი რიგის პრეპარატები. ატარებენ ინჰალაციასაც. მდგომარეობის გაუმჯობესება ხდება 5-7 დღეში. როგორც მსუბუქი, ისე საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმის დროს, ძირითადად ალერგიული ფორმის შემთხვევაში, გამოიყენება ანტიჰისტამინური პრეპარატები. მძიმე შემთხვევაში, გარდა ბრონქოსპაზმოლიტიკებისა, გამოიყენება კორტიკოსტეროიდების შეყვანა ვენაში, ნახველის გამათხელებელი და სხვასხვა სიმპტომატური საშუალებანი.

მწვავე გამოვლინებების მოხსნის შემდეგ ბრონქიალური ასთმის ჰორმონო-დამოკიდებული ფორმების დროს (საკითხი ეხება ავადმყოფებს, რომლებიც კორტიკოსტეროიდულ პრეპარატებს, მაგალითად, პრედნიზოლონს იღებენ) კურსობრივი დოზით ინიშნება კორტიკოსტეროიდები დასალევად. მიმდინარეობს აქტიური თერაპია ბრონქოლიტიკებით, ვიტამინებით და სხვა სიმპტომატური საშუალებებით. გადაუდებელი თერაპიის შემდეგ უნდა ჩატარდეს მკურნალობა, რომელიც მიმართული იქნება მდგომარეობის სტაბილიზაციისაკენ. ჩვენი მიზანია, მიღწეულ იქნას მდგრადი რემისია, რაც გულისხმობს: 1. ინფექციური კერების სანაციას, 2. მედიკამენტურ თერაპიას, რომელიც ტარდება ანტიჰისტამინური საშუალებებით.

ხშირი გამწვავებებით მიმდინარე ბრონქული ასთმის ალერგიული ფორმების შემთხვევაში, მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია აგრეთვე, რეფლექსოთერაპიული საშუალებებით (ნემსთერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროთერაპია).

## სასარგებლოა, იცოდეთ

თუ სურდომ შეგაწუხათ – ადუღეთ 15-20 წუთის განმავლობაში 60 გრ წიწაკის ფესვი 1 ჩაის ჭიქა თეთრ ღვინოში. შემდეგ ნახარში გაფილტრეთ და მიიღეთ ცხელი სახით 3 ჯერ დღეში 3 5 დღის განმავლობაში.

* * *

ქრონიკული სურდოს დროს, როდესაც გაქვთ ცხვირის „გაჭედვის" შეგრძნება, დაიდეთ მდოგვი ქუსლზე და შეიხვიეთ. ჩაიცვით შალის წინდები და იყავით ასე 1-2 საათი. შემდეგ მოიხსენით მდოგვის საფენები და იარეთ ოთახში სწრაფად რამდენიმე ხნის განმავლობაში. უმჯობესია ეს პროცედურა ძილის წინ გააკეთოთ. სურდოს დროს კარგია ასევე ახალგახეხილი ჭარხლის წვენი. ის უნდა შეურიოთ თანაბარი რაოდენობის თაფლს და მიიღოთ ნახევარი ჭიქა 3-4-ჯერ დღეში.

ძლიერი და გახანგრძლივებული ხველის დროს ერთ კოვზ ანწლის გამხმარ ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთს და გამოწურეთ. მიიღეთ თითო მეოთხედი ჭიქა 3-4-ჯერ ჭამამდე 15 წუთით ადრე.

* * *

ანგინა შეიძლება ერთი დღე ღამის განმავლობაში განვკურნოთ, თუ დავღეჭავთ ნაძვის ახალდადენილ ფისს.

* * *

– ჰიპერტონიის, ღვიძლისა და ენდოკრინული სისტემის დაავადებების დროს ჭამის შემდეგ მიიღეთ 1/2 ჩაის ჭიქა ახლადგამოწურული თაფლიანი ჭარხლის წვენი.

– გაღიზიანებული ნერვული სისტემის დასამშვიდებლად მიიღეთ 1/2 ჩაის ჭიქა ახლადგამოწურული დღეში 3 ჯერ.

– ყაზბობის დროს რეკომენდირებულია, მიიღოთ 100 150 გრამი ახლადგამოწურული ჭარხლის წვენი.

– ქრონიკული სურდოს დროს გამოირეცხეთ ცხვირი მოხარშული ჭარხლის წვენით.

– ანთებისა და ორგანიზმის გამოფიტვის დროს ერთმანეთს შეურიეთ თანაბარი რაოდენობის წვრილ სახეზე გახეხილი ჭარხალი, სტაფილი და ბოლოკი. გაწურეთ წვენი ტილოში, ჩაასხით თიხის ჭურჭელში და 2 3 საათი შედგით თბილ ჰაერღუმელში ან დადგით ცხელ ღუმელზე. შემდეგ მიიღეთ 1 სუფრის კოვზი წვენი დღეში 3 ჯერ, ჭამამდე 15 20 წუთით ადრე. მკურნალობის კურსია 2 3 თვე.

– ცხვირში წყლულის დროს ჩაიწვეთეთ ნესტოებში 3 3 წვეთი ჭარხლის წვენი.

## მკურნალი ბუნება

ასკილი – ვარდისებრთა ოჯახის ეს წარმომადგენელი 1 3 მ სიმაღლის ბუჩქია. გავრცელებულია მთელ საქართველოში. ტოტები კაუჭა ეკლებითაა აღჭურვილი, ყლორტები მწვანეკა-



ნიანია, ღერო – ნაცრისფერქერქიანი. ყვავის მაის ივნისში. აქვს თეთრი ან მოვარდისფრო სურნელოვანი ყვავილები. ნაყოფი მწიფდება აგვისტო სექტემბერში. ნაყოფი შეიცავს ვიტამინებს, ფლავონოლურ გლიკოზიდებს, შაქარს, პექტინს, ლიმონის, ვაშლისა და სხვა მჟავებს, კაროტინს, ლიკოპონს და რუბიქსანტინს. ფოთლები და ფესვები მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებითაც. ასკილის ნაყოფი გამოიყენება ავიტამინოზების, ჰემორაგიული დიათეზის, არტერიოსკლეროზის, ჭრილობების და ძვლების შეხორცების დასაჩქარებლად, ინფიცირებული ჭრილობებისა და საშვილოსნოდან სისხლდენისას. ნაყოფში შემავალი ვიტამინი გამოიყენება ჰიპოვიტამინოზის (ქათმის სიბრმავე, ქსეროფტალმია), აგრეთვე თირკმლების და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს. ასკილის ნაყოფის ექსტრაქტი გამოიყენება, როგორც ნაღვლის დენის გამაძლიერებელი საშუალება ქოლეცისტიტის და ჰეპატიტების დროს.

ასკილის ფოთლებსა და ფესვებს კუჭის დაავადებების დროს იყენებენ, მათ შორის, კუჭაშლილობის სამკურნალოდაც. ასკილის ნაყოფებს კუჭის, ნერვების, გულისა და თვალის, აგრეთვე სისხლის დაავადებების დროს იყენებენ. ფოთლების ჩაი კარგად მოქმედებს კუჭის მოტორულ ფუნქციაზე. მისი ფოთლების ნახარში ხალხში მიჩნეულია საუკეთესო საშუალებად ორგანიზმში ყოველგვარი ქვის დასაშლელად. ასკილის ნაყოფის რბილობისგან მიღებული პრეპარატები გამოიყენება კანის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ჰილარი კლინტონი: „მოსკოვი მხარს ტრამპს უჭერს“



დონალდ ტრამპის განცხადებებმა ამერიკაში მის მიმართ კრიტიკის მთელი კასკადი გამოიწვია. ტრამპმა რუსეთის სპეცსამსახურებს მოუწოდა, დემოკრატების კომპიუტერებში შეაღწიონ და ჰილარი კლინტონის საიდუმლო დოკუმენტები გაასაჯაროონ.

– მე მინდა, რომ ამერიკამ მისის კლინტონის ნამდვილი სახე დაინახოს და, თუკი რუსები ამაში დამეხმარებიან, ეს მთლად იდეალური იქნება, – ამბობს ტრამპი.

მილიარდერი არც ამას დასჯერდა. მან ობამას ადმინისტრაცია უკრაინის მხარდაჭერის გამო მკაცრად გააკრიტიკა.

– პოლიტიკოსმა სიმართლეს თვალი უნდა გაუსწოროს! უკრაინა მუდამ რუსეთის შემადგენლობაში იმყოფებოდა. 1991 წელს ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ეს სავსებით საკმარისია! მისი ევროსტრუქტურებში გაწევრიანება (ევროკავშირი, ნატო) მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს. გინდათ ეს? მე არ მინდა! – აცხადებს მილიარდერი.

ტრამპს ყირიმისა და დონბასის საკითხებზეც თავისებური შეხედულებები გააჩნია. ის მიიჩნევს, რომ ყირიმის რუსეთში შესვლა კანონზომიერია.

– ყირიმში ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობამ არჩევანი დააფიქსირა. ჩემი აზრით, მსგავსი რეფერენდუმი დონბასშიც უნდა ჩატარდეს და ხალხის ნებას ყველა დაემორჩილოს.

ჰილარი კლინტონმა ამ სიტყვების გამო ტრამპი კრემლთან ალიანსში დაადანაშაულა. მან აღნიშნა, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რათა ტრამპი ხელისუფლებაში მოიყვანოს.

– ტრამპს პოლიტიკაზე ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნია! პუტინისთვის ასეთი ადამიანი ციური მანანაა. მოსკოვიც ტრამპს მხარს აქტიურად უჭერს, – თქვა მან.

ქალბატონმა ჰილარიმ ხაზი გაუსვა, რომ რუსებმა დემოკრატიული პარტიის ელფოსტა გატეხეს და საიდუმლო დოკუმენტები გაასაჯაროეს.

– ეს სპეციალურად კეთდება, რათა ჩემი დისკრედიტაცია მოხდეს, – თქვა მან.

მისის კლინტონმა თქვა, რომ რუსეთის დაზვერვა აშშ-ის ტერიტორიაზე სულ უფრო აქტიურდება. პუტინიც სპეცსამსახურების მეშვეობით ცდილობს, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერიოს და მათზე გავლენა მოახდინოს.

# ნადეჟდა სავჩენკო: „რუსეთმა დონბასი სასწრაფოდ უნდა დატოვოს“



უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ნადეჟდა სავჩენკომ განაცხადა, რომ რუსეთი დონბასში პროვოკაციას ამზადებს და ამას შესაძლოა რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომი მოჰყვეს.

– რუსეთმა იდეოლოგიური დივერსიებითა და ძირგამომთხრელი საქმიანობით ვერაფერი დაგვაკლო. პუტინიც ცდილობს, მიზანს ძალით მიაღწიოს. მისი მიზანი კი უკრაინის ფედერალიზაცია და მისგან აღმოსავლეთ-სამხრეთი რეგიონების ჩამოშორებაა, – თქვა სავჩენკომ.

დეპუტატის აზრით, აგვისტოში დონბასში დაძაბულობა პიკს მიაღწევს. მან უკრაინის ხელისუფლებასა და ევროკავშირს მოუწოდა, საამისოდ მზად იყვნენ.

– ჩვენი მთავრობა მზად უნდა იყოს რუსული არმიის შემოჭრისა და მისი შეტევების მოგერიებისთვის, ევროკავშირმა კი რუსეთზე ზეწოლა უნდა გააძლიეროს და რუსეთ-უკრაინას შორის ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღება არ დაუშვას! თუკი ასეთი ომი გაჩაღდა, ეს ევროპისთვისაც საშინელება იქნება, – ამბობს სავჩენკო.

დეპუტატმა ხაზი გაუსვა, რომ დონბასის მოსახლეობა ომისგან უკვე გადაიღალა. მათ მშვიდობა სურთ. დონბასელთა უმრავლესობა ერთიანი უკრაინის მომხრეა. მეტიც, ომის შედეგად დონბასში უკრაინელი პატრიოტების რიცხვმა იმატა.

– რუსეთმა დონბასი სასწრაფოდ უნდა დატოვოს! ამ შემთხვევაში მშვიდობა აღდგება, – აცხადებს სავჩენკო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# გაერო ბავშვების ძუძუთი კვების სელფს მხარს უჭერს



გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საკუთარი მხარდაჭერა გამოხატა „ბრელფის“ მიმართ, რომელიც დედის მიერ თავისი ახალშობილის ძუძუთი კვების დროს ავტოპორტრეტის გადაღებას ნიშნავს.

როგორც გაეროში განაცხადეს, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული „ბრელფები“ ნებისმიერ სტერეოტიპებთან ბრძოლის კარგ საშუალებას წარმოადგენს, მათ შორის ბავშვის ძუძუთი კვებაც. გარდა ამისა, ასეთი სელფები ხელს უწყობს ბავშვის დედის რძით კვების მნიშვნელობაზე ინფორმაციის გავრცელებას.

ძუძუთი კვების მსოფლიო კვირეულმა სტარტი 1 აგვისტოს აიღო. როგორც იუნისეფის პრესმდივანმა კრისტოფ ბულვერაკმა განაცხადა, გაეროს სურს, რომ ადამიანები საუბრობდნენ და მსჯელობდნენ ამ თემაზე, რათა სიტუაცია გაუმჯობესდეს.

ბრელფის თაობაზე დასმულ კითხვაზე მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამას ყოველნაირად წახალისება სჭირდება.

# ამერიკელი ექსტრემალი უპარაშუტოდ გადმოხტა

ამერიკელმა სკაიდაივერ-ექსტრემალმა ლიუკ აიკინსმა 7,6 კილომეტრის სიმაღლიდან უპარაშუტოდ ნახტომი განახორციელა.

აიკინსმა მსუბუქძრავიანი თვითმფრინავიდან ნახტომი კალიფორნიის შტატის ქალაქ სიმი-ველის თავზე განახორციელა. ნახტომის ტრანსლაცია ადგილობრივ სატელევიზიო არხზე ხორციელდებოდა, ხოლო მხტომელის ვარდნის სიჩქარემ საათში 120 მილი (დაახლოებით 53 მეტრი წამში) შეადგინა.

თავისუფალი ვარდნის ორი წუთის შემდეგ ექსტრემალი დედამიწის თავზე გაჭიმულ ბადეზე დაეშვა. ამის შემდეგ ის თავის მეუღლესთან მივიდა, რომელიც სხვა ნათესავებთან ერთად ადევნებდა თვალს აიკინსის ნახტომს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აიკინსს ნახტომის შესრულების წინ პარაშუტის გაკეთება მოსთხოვეს, მაგრამ მან, თავის მხრივ, განაცხადა, რომ მას მაინც არ გახსნიდა, რის შემდეგაც მისთვის პარაშუტის გაკეთება აღარ დაუვალდებულებიათ.

აიკინსს პარაშუტით 18 ათასზე მეტი ნახტომი აქვს გაკეთებული. მას კასკადიორის რანგში რამდენიმე საჰაერო ილეთი აქვს შესრულებული ფილმში „რკინის კაცი-3“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მაღალი ხარისხის სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) გარანტიით, ძირითადად იაპონური და გერმანული წარმოების. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოს, სათესლე ჯირკვლებისა და პროსტატის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატსა და კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# 18 წლამდე ნაკრების რთული გამარჯვება და შენარჩუნებული ლიდერობა

საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრები დაუმარცხებელ სვლას აგრძელებს. მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ასპარეზობა გია კაზანჯიანის გუნდმა აუტსაიდერ ალბანეთთან და შოტლანდიასთან მატჩებით დაიწყო, რომლებიც, ჯამში, 108 ქულით დაამარცხა. შემდეგი მეტოქე ინგლისი იყო, რომელსაც მანამდე ორივე მატჩი – უკრაინასთან და სლოვაკეთთან წაგებული ჰქონდა, თუმცა საქართველოსთან ბრიტანელებმა სამაგალითოდ იბრძოლეს და გამარჯვებამდეც ცოტა დააკლდათ.

საქართველოს ნაკრებმა ბეწვის ხიდზე გაიარა. იოლი გამარჯვებებით გულდამშვიდებული ჩვენი ნაკრები 2 მარცხის მქონე ინგლისთან სათამაშოდ თავდაჯერებული გავიდა და ცივი შხაპი მიიღო. კუნძულელებმა პირველი პერიოდი 29:15 მოიგეს, რაც გუნდური თამაშისა და ფარქვეშ შედეგიანი ბრძოლის დამსახურება იყო. ნომინალური ცენტრი, გოგა ბითაძე საკუთარ ფარზე ბურთებს კი ხსნიდა, მაგრამ მეტოქის სამწამიანში ვერაფერი გამოსდიოდა. ამის გამო ის პერიმეტრზე იწევდა და პირველ მეოთხედში 3 ცდიდან სამივე სამქულიანი ჩააგდო, მეორე მეოთხედში უკვე ორმაგ დუბლს უწია, მაგრამ მხოლოდ მისი გარჯა ვერ გამოდგა საკმარისი.

ინგლისელები ჩვენს ფარქვეშ კომფორტულად გრძნობდნენ თავს და საშუალო მანძილებიდანაც ზუსტად უტევდნენ. პირველ პერიოდში მოპოვებული სოლიდური უპირატესობა მცირე დანაკლისით კუნძულელებმა დიდ შესვენებამდე მიიტანეს და შესვენებაზე 12-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

შესვენების შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა ქართველებმა ჩამორჩენის გაბათილებას მიჰყვეს ხელი და მალე სულაც დაწინაურდნენ. ამ საკვანძო ეპიზოდში აღსანიშნავია საბა აკობიას და ლუკა ბულაშვილის შედეგიანობა. ბოლო მეოთხედს ჩვენები ოთხქულიანი უპირატესობით – 56:52 შეხვდნენ.

თამაშის განახლებისთანავე ინგლისელებმა ზეწოლა გააძლიერეს და ქართველებს წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ. დროული გამოდგა ნიკა ლოლიშვილის 2 სამქულიანი, თუმცა ინგლისელები მაინც არ ტყდებოდნენ და ჩამორჩენა 2 ქულამდე დაიყვანეს – 61:63. აქ ისევ აკობიამ ისახელა



თავი, რომელმაც ჯერ ორქულიანი, შემდეგ ჩაჭრა და სამქულიანი მიითვალა. 5 ქულით დაწინაურებულ ქართველებს სამქულიანი ბითაძემაც შეაშველა და მატჩის დასრულებამდე ორ-ნახევარი წუთით ადრე ანგარიში 71:63 გახადა. შეხვედრის ბედიც აქ გაირკვა. ქართველებმა საბოლოოდ 76:70 მოიგეს და 3 ტურის თავზე დაუმარცხებლები და დ ჯგუფის ლიდერები არიან.

ძალიან იშვიათი და ქართველი კალათბურთელისთვის გვარიანად სარეკლამო შემთხვევა დაფიქსირდა ამ შეხვედრაში. ბითაძემ, რომელიც 17 წლისა და 210 სანტიმეტრი სიმაღლისაა, 5 ცდიდან ხუთივე სამქულიანი ჩააგდო, რასაც 15 მოხსნა და 5 დაფარება მოაყოლა და ეფექტურობის შესაშური კოეფიციენტი – 33 ერთეული დააფიქსირა. 16 ქულა, 4 ჩაჭრა და 3 პასი მიითვალა ამ მატჩის გამარჯვებაში უდიდესი წილის დამდებმა საბა აკობიამ. 10 ქულა და 4 ჩაჭრა მოაგროვა ლუკა ბულაშვილმა.

საქართველოს ნაკრებს 2 მთავარ კონკურენტთან დარჩა სათამაშო. გუშინ კაზანჯიანის გუნდმა დასვენებით ისარგებლა, ხოლო დღეს უკრაინას დაუპირისპირდება, ხოლო ჯგუფის ბოლო მატჩს ქართველები ხვალ სლოვაკეთთან გამართავენ.

ეს ორივე გუნდი ჩვენი კონკურენტია და მე-3 ტურში ერთმანეთს შეხვდნენ. უკრაინა 13 ქულით აგებდა სლოვაკეთთან, თუმცა საბოლოოდ 78:61 იმარჯვა და ქართველებივით დაუმარცხებელი მეორე ადგილზეა.

# ოლიმპიელები რიოში ვარჯიშობენ და ისვენებენ



რიოში დღეს საქართველოს დელეგაციის მორიგი ჯგუფი ჩავა, გაცილებით მრავალრიცხოვანი, თუმცა ოლიმპიური ნაკრები სრული შემადგენლობით მაშინ შეიკრიბება, როდესაც ბოლო ნაკადი – მოჭიდავეები შეუერთდებიან.

მანამდე ქართველ ოლიმპიელთა ნაწილი დროს ვარჯიშსა და ექსკურსიებში ატარებს. გუშინ ივარჯიშეს ტყვიის მსროლელებმა, მშვილდოსნებმა, მძლეოსნებმა, დანარჩენებმა კი დრო ძირითადად დასვენებისთვის გამოიყენეს.

გარდა ამისა, ოლიმპიურ სოფელს ესტუმრა და ქართველ ოლიმპიელებს შეხვდა ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ოთარ ბერძენიშვილი. მას ახლდნენ საელჩოს თანამშრომლები – კოტე საბიაშვილი და ლუკა აბშილავა. საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელმა ელგუჯა ბერიშვილმა სტუმრებს წარუდგინა ჩვენი სპორტსმენები, დელეგაციის სხვა წევრები.

ქართული დელეგაციის 25-კაციანი ჯგუფი გაემგზავრა კორკოვადუს მთაზე, სადაც ქრისტეს 38-მეტრიანი ქანდაკება მოინახულეს.

# აბურჯანია სევილიაში ითამაშებს

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი გიორგი აბურჯანია კარიერას ესპანურ სევილიაში გააგრძელებს. შესაძლოა, ეს



ფაქტი დღეს უკვე დადასტურებული იყოს. ამის შესახებ ესპანური ინტერნეტპორტალები აქტიურად წერენ. დარჩენილია მხოლოდ ფორმალური საკითხები და სამედიცინო შემოწმების გავლა.

სავარაუდოდ, აბურჯანია სევილიასთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

თავდაპირველად აბურჯანია სევილიის მე-2 გუნდში ითამაშებს, რომელიც სეგუნდა დივიზიონში გამოდის, მაგრამ მისთვის არც პირველი გუნდის კარი იქნება დახურული.

ანდალუსიელებს აბურჯანიას ტრანსფერში 1.800.000 ევროს გადახდა მოუწევთ.

შეგახსენებთ, რომ აბურჯანია ხიმნასტიკს 2016 წლის ზამთარში შეუერთდა და 15 მატჩში 2 გოლი გაიტანა, ხიმნასტიკს კი სულ ცოტა დააკლდა პრიმერა დივიზიონში ალსაზევებლად.

# შედეგები

31 ივლისი

ფეხბურთი

**ჰოლანდია. სუპერთასი**

ფეინოორდი-პსვ ............ 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-უფა ............ 2:0
სპარტაკი-არსენალი ............ 4:0

*სპარტაკის პირველი და მეორე გოლი ჯანო ანანიძემ გაიტანა*

ტერეკი-კრილია ............ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-ბაზელი 1:5
ლოზანა-თუნი 4:4
ლუცერნი-გრასჰოპერსი 4:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-მატესბურგი ............ 3:1
ალტახი-რაპიდი ............ 1:0
სტ.გალენი-ადმირა ............ 2:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ვესტრლო-სტანდარდი ............ 2:2
გენკი-ოსტენდე ............ 2:1
კორტრაიკი-გენტი ............ 1:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბოლესლავი-ლიბერეცი ............ 3:0
ბოჰემიანსი 1905-ჰრადეც კრალოვე . 0:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-კრაკოვია ............ 0:0
ზაგლებიე-ნეჩეცა ............ 2:0
კორონა-პიასტი ............ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დნიპრო-სტალი ............ 1:1
ოლექსანდრია-ვორსკლა ............ 3:2
კარპატი-დინამო ............ 0:2

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-ლუნგბიუ ............ 0:1
მიდტიულანდი-სილკებორგი ............ 3:0
ბრონდბიუ-ჰორსენსი ............ 2:2
ორხუსი-რანდერსი ............ 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

იონჩოპინგი-გიოტებორგი ............ 1:1
აიკი-ფალკენბერგი ............ 2:0
ჰაკენი-ჰელსინბორგი ............ 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ალესუნდი-ლილესტრიომი ............ 2:0
ბოდო გლიმტი-ტრომსო ............ 0:3
ოდ გრელანდი-ბრანი ............ 1:3
ჰაუგესუნდი-სონგდალი ............ 0:1
სტრომგოდსეტი-სტაბეკი ............ 2:2

*სტბეკის პირველი გოლი გიორგი გოროზიამ გაიტანა*

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ინტერი-ჰიკი ............ 0:0
კუუპიო-როვანიემი ............ 1:1
ლახტი-მარიეჰამნი ............ 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# გონსალო იგუაინი: „ნაპოლის პრეზიდენტთან ურთიერთობა ვერ ავაწყვე“

გონსალო იგუაინი ნაპოლიდან ტურინულ კლუბში საკუთარი სურვილით გადავიდა და ჯერჯერობით სეზონის სარეკორდო სატრანსფერო ფასი დააფიქსირა. როგორც თავად ფეხბურთელი აცხადებს, მას კონფლიქტი ნაპოლის პრეზიდენტ აურელიო დე ლაურენტისთან ჰქონდა.

**გონსალო იგუაინი:**

– ჩემი ურთიერთობა დე ლაურენტისთან კარგი არასოდეს ყოფილა, რადგან მას ჩემგან განსხვავებული შეხედულება გააჩნია თითოეულ თემაზე. ბევრს საუბრობენ ჩემს გადაწყვეტილებაზე და მინდა გითხრათ, რომ მასზე გარკვეული როლი ნაპოლის პრეზიდენტსაც მიუძღვის – აურელიომ პრაქტიკულად ხელი მკრა. ახლა კი ბედნიერი და დამშვიდებული ვარ. იუვენტუსისადმი მხოლოდ მადლიერების გრძნობა მაქვს.

***– ნაპოლის მწვრთნელმა მაურიციო სარიმ თქვენზე თქვა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ხარ.***

– მოვისმინე სარის კომენტარი. მის მიმართ მხოლოდ დადებითის თქმა თუ შემიძლია. ეს არის ადამიანი, რომელიც მუდამ ჩემ გვერდით იდგა. მას ტურინიდან ვესალმები! ბოდიშს ვიხდი იმ დუმილისთვის რაც ჩემი მხრიდან ხორციელდებოდა, მაგრამ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს..

***– ნეაპოლიდან არცთუ კარგად გამოგიშვეს.***

– ნაპოლის რიგებში 3 არაჩვეულებრივი წელიწადი გავატარე და მათი გულისწყრომის მესმის. ნეაპოლ-




ში ჩემს მისამართით უამრავი ბინძური შეურაწხყოფა გაჟღერდა, მაგრამ საჯაროდ ვამბობ – ეს ჩემი პირადი გადაწყვეტილება იყო. ახლა ბედნიერი ვარ და მხოლოდ იუვენტუსზე ვარ კონცენტრირებული.

***– იუვენტუსში დანი ალვეში დაგხვდებათ, რომელსაც კარგად იცნობთ.***

– ალვეში დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ ტურინში არაერთი მაღალი დონის მოთამაშე ირიცხება, რომლებიც ამინდს ქმნიან. ეს არის კლუბი, სადაც თამაშობენ ერთად და ერთმანეთისთვის.. სწორედ ამიტომაა იუვე ყველასგან გამორჩეული.

***– ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ რომ იგუაინი უცხოელი ფეხბურთელია და იტალიაში მხოლოდ ფულის გასაკეთებლად არის ჩამოსულიო.***

– არ ვთვლი თავს მოვალედ, რომ მას რაიმე სახის პასუხი გავცე. გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მივიღე და ამით კმაყოფილი ვარ. ამიტომ ზემოხსენებულ თემაზე ვერაფერს დავამატებ.

***– პაბლო დიბალასთან კარგი ურთიერთობა უნდა გქონდეთ.***

– დიბალასთან ერთად არგენტინის ნაკრებში მაქვს ნათამაშები. მას ვესაუბრე და ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

***– რას ელით იუვენტუსში?***

– ყველა ტურნირზე გამარჯვებისთვის მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო. ადვილი არაფერია, მაგრამ მაქსიმუმს გავიღებთ მიზნის მისაღწევად, მით უმეტეს, არსებული რესურსიდან გამომდინარე, ეს უტოპია არ არის.

***– რას გამოარჩევდით ტურინულ კლუბში?***

– ბიანკონერის დაცვის ხაზი განსაკუთრებულ აპლოდისმენტებს იმსახურებს. ისინი მსოფლიოში საუკეთესონი არიან. მადლობა ჯორჯო კიელინის, რომელიც ჩემს ტრანსფერს პოზიტიურად შეხვდა და შეტყობინება გამომიგზავნა.

***– ალესანდრო დელ პიეროს შემდეგ რთულია, ვინმე იუვენტუსში დიდი პატივისცემით სარგებლობდეს.***

– დელ პიერო ჩემი შთაგონების წყაროა. მადრიდში თამაშისას პინტურიკიოზე ვგიჟდებოდი! იუვეს მატჩებს იმიტომ ვადევნებდი თვალყურს, რომ ალესანდროს თამაშით დავმტკბარიყავი.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ქართული პროექტებით უცხო ქვეყნები ინტერესდებიან

ომანის სასულთნოს სწავლების უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტისა და სამოგზაურო სააგენტოების ასოციაციების გაერთიანებული ფედერაციის პრეზიდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტენფორდის უნივერსიტეტისა და ჰარვარდის ბიზნესსკოლების პროფესორი სეიმ ალ შარეფიმანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურს შეხვდა.



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად მზარდია სხვადასხვა ქვეყნის ინტერესი საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების მიმართ, მათ შორისაა აღმოსავლეთის ქვეყნები. კერძოდ, ომანის სასულთნო, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან განათლების სექტორში თანამშრომლობას.

როგორც უწყებაში განმარტავენ, განსაკუთრებული ინტერესის საგანია მიმდინარე რეფორმები, ზრდასრულთა განათლება, ინგლისური ენის სწავლება როგორც სკოლებში, ისე პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში.

ასევე საზაფხულო სკოლების როლი ენების სწავლების განვითარებაში. ამ მიზნით, საქართველოს ეწვია ომანის სასულთნოს სწავლების უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტისა და სამოგზაურო სააგენტოების ასოციაციების გაერთიანებული ფედერაციის პრეზიდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტენფორდის უნივერსიტეტისა და ჰარვარდის ბიზნესსკოლების პროფესორი სეიმ ალ შარეფი სტუდენტებთან ერთად.

– შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. მხარეებმა ისაუბრეს როგორც ორი ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე ისე, პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში შესაძლო თანამშრომლობაზე.

სეიმ ალ შარეფმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ის ასევე ხელმძღვანელობს საერთაშორისო ავიახაზების ავტორიზებული გადამზადების კურსებს და თვლის, რომ ამ პროფესიული მიმართულების სტუდენტებისათვის, საქართველო შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ისინი ინგლისურ ენასთან ერთად, პროფესიულ კურსსაც გაივლიან.

მან ასევე დადებითად შეაფასა ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლასთან „თბილისი“ თანამშრომლობა და აღნიშნა, რომ რეალობა გაცილებით მეტი აღმოჩნდა იმ წინასწარ ინფორმაციაზე, რომელიც ბაქსვუდის საზაფხულო სკოლასთან დაკავშირებით ჰქონდა.

როგორც ცნობილია ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში, საქართველოს სკოლების სასკოლო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები სახელმწიფო დაფინანსებით, ინგლისურ ენას სწავლობენ.

ეს არის ბრიტანული საზაფხულო სკოლის მოდელი გადმოტანილი საქართველოში და იგი უცხოელებისთვის ბევრად უფრო იაფია, ვიდრე ბრიტანეთში. ამიტომ ამ მიმართულებით უკვე დეტალურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით დაიგეგმა კონკრეტული საკითხები და მომდევნო შეხვედრებზე უფრო საგნობრივი იქნება საუბარი მომავალ თანამშრომლობაზე როგორც ბაქსვუდთან დაკავშირებით, ისე მთლიანად განათლების სფეროში, – აცხადებენ სამინისტროში.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს პრეზიდენტმა 226 მსჯავრდებული შეიწყალა



საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების მორიგი აქტი 1 აგვისტოს გამოსცა, რომლის მიხედვითაც 226 მსჯავრდებული შეიწყალა.

ამის შესახებ შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, შეწყალებულთა შორის 11 ქალია, ხოლო 3 – არასრულწლოვანი.

– შეწყალებული მსჯავრდებულებიდან 154 დღესვე დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებს, 72-ს კი სასჯელი შეუმცირდება, – განაცხადა ქორიძემ.

მისივე თქმით, შეწყალების კომისიამ 18-24 ივლისს სულ 1.564 პირის საქმე განიხილა.

**ინტერპრესნიუსი**

# პროკურატურა: „გამოკითხული ყველა მოსამართლე ზეწოლას უარყოფს“



საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, გამოკითხული მოსამართლეებიდან მათ მიმართ ვინმეს მხრიდან რაიმე სახის ზეწოლას ყველა უარყოფს.

ამის შესახებ პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე განხორციელებული შესაძლო ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებული საქმის გამოძიების შესახებ შუალედურ ინფორმაციას მოიცავს.

– ამ ეტაპზე გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ გამოკითხულია საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოსამართლე, თავმჯდომარის გარდა.

გამოკითხულთაგან ყველა უარყოფს მათ მიმართ ვინმეს მხრიდან რაიმე სახის ზეწოლის ან სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევას, – ნათქვამია განცხადებაში.

მთავარ პროკურორსა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შორის აღნიშნულ საქმეზე თანამშრომლობის შეთანხმების თანახმად, ამ კვირაში გიორგი პაპუაშვილთან კოორდინაციით მოხდება მისი გამოკითხვა ზეწოლის ფაქტებთან მის ხელთ არსებული ინფორმაციის ირგვლივ.

– სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება მოსამართლეების მიერ ჩვენებებში დაფიქსირებულ გამოძიებისთვის საინტერესო გარემოებების გადამოწმების მიზნით, რომლებზეც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ვერ ვისაუბრებთ, თუმცა როგორც აღინიშნა, გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაცია პერიოდულად ეცნობება საზოგადოებას, – აღნიშნულია განცხადებაში.

# თბილისის ნაწილს ელექტრომომარაგება შეეზღუდება

დედაქალაქის რამდენიმე რაიონს 2 აგვისტოს, გეგმური სამუშაოების გამო, ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „თელასიდან“ აცნობეს, ელექტრომომარაგების შეზღუდვა შეეხება სამგორის, გლდანისა და ისნის რაიონებს.

„ინტერპრესნიუსი“ გთავაზობთ გრაფიკს, რომლის მიხედვითაც თბილისის რაიონებისთვის ელექტრომომარაგების შეზღუდვა მოხდება:

სამგორის რაიონი – 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ვარკეთილის III დასახლების II, IV მიკრორაიონების და აბაშვილის ქუჩის მცხოვრებლებს.

გლდანის რაიონი – 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: მუხიანის დასახლების I და II მიკრორაიონის მცხოვრებლებს.

ისნის რაიონი – 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: კახეთის გზატკეცილის, ქეთევან წამებულის გამზირის, წინანდლის, თელავის, კობარეთის, ახმეტის, კასპის, დოესის, წერნაკის, ნოსირის, უბილავას, ავლიპ ზურაბაშვილის, ჭრელაშვილის, ნავთლუღის, რიჩარდ ჰოლბრუკის, წულუკიძისა და ლაღიძის ქუჩების მცხოვრებლებს.

კომპანია ბოდიშს უხდის მომხმარებლებს შექმნილი დისკომფორტის გამო. სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგებათ.

**ინტერპრესნიუსი**

# რა პრობლემები შეიძლება შეუქმნან საქართველოს ჯიჰადისტებმა

**დასაწყისი მე-6 გვერდზე**

პოლიტიკური მოვლენების პარალელურად, ამაზე არც ხელისუფლება საუბრობს და არც ოპოზიცია.

თუ რუსეთის სახელმწიფოს საქართველოს ტერიტორიიდან რაიმე სახის საფრთხე დაემუქრება, არა მგონია, ჩრდილოელი მეზობელი საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებების კონვენციის დაცვით გაუმკლავდეს მას.

ჯიჰადისტების მორიგი მუქარა რუსეთის ხელისუფლებას საფუძველს აძლევს, გააქტიუროს თავისი მოქმედება კავკასიის რეგიონში. მაისის ბოლოდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე კავკასიის ქედზე საქართველოდან ჩეჩნეთში გადასასვლელი ბილიკები არაა ჩახერგილი. ეს კარგი დროა მოჯაჰედების ჩრდილოეთის მიმართულებით გადაადგილებისთვის. იმ დროს, როდესაც არ ვიცით მუსლიმი არალეგალების რიცხვი, გვესაზღვრება თურქეთი, რომელიც დევნილების საკუთარი ტერიტორიიდან განდევნით იმუქრება, ნამდვილადაა შესაძლებელი საქართველოდან ჩრდილო კავკასიის მიმართულებით მოჯაჰედთა გადაადგილების პროცესის აღდგენა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელზე საუბარსაც ერიდებიან საქართველოს ძალისმიერ სტრუქტურებში, ჯიჰადისტურ წრეებთან კავშირში მყოფი ადამიანების არსებობაა.

ერთია, როდესაც ქვეყნის უშიშროება პოტენციური საფრთხის მატარებლებზე კონტროლის, ინფორმაციის მოპოვების მიზნით ურთიერთობს მათთან და სხვა, როდესაც ასეთ ხალხთან ეკონომიკური თუ სხვა სახის უკანონო კავშირები მყარდება.

ასეთი ურთიერთობების არსებობის საფუძვლიანი ეჭვი არსებობს. გავიხსენოთ ბრიტანულ „სანდი ტაიმსში“ 2007 წელს გამოქვეყნებული და იუთუბზე ატვირთული მასალა, სადაც საქართველოს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენელი გია დგებუაძე, მეტსახელად „მასტერა“, ჩეჩენ უვაის აჰმადოვს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას უკვეთს.

ასეთი კავშირები უშიშროების სამსახურის შეშფოთების საფუძველი უნდა იყოს. ეს ხალხი მარტო არ მუშაობდა ამ სტრუქტურაში. შესაძლოა, ყოფილი თანამშრომლები ძალისმიერ სტრუქტურებში საქმიანობას დღესაც აგრძელებენ.

# ჟერემი მენეზი კარიერას ბორდოში გააგრძელებს



ჟერემი მენეზი თავის სამშობლოში, საფრანგეთში დაბრუნდება და კარიერას ბორდოში გააგრძელებს.

როგორც იტალიური პრესა იუწყება, მილანი და ბორდო უკვე ყველა დეტალზე შეთანხმდნენ და უახლოეს დღეებში მენეზი ოფიციალურად ბორდოს ფეხბურთელი იქნება.

მილანში მენეზი 2014 წელს გადავიდა და პირველი წარმატებული სეზონის შემდეგ თამაშის ხარისხს საგრძნობლად უკლო, რის შემდეგაც ძირითად შემადგენლობაშიც დაკარგა ადგილი.

ბორდოსთან მენეზი სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და მისი ანაზღაურება წელიწადში 2,5 მილიონი ევრო იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ასტროპროგნოზი
## 2 აგვისტოსთვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. აქტიურობა საჭირო არ არის. არც რჩევები მისცეთ ვინმეს. **კურო** – პირად ცხოვრებაში წარმატებას ელოდეთ, მაგრამ მატერიალური პრობლემების მოგვარება არც ისე იოლი აღმოჩნდება. **ტყუპები** – არაკეთილისმყოფელი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. შესაძლოა, ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **კირჩხიბი** – ოჯახში პრობლემებს იოლად აგვარებთ, მაგრამ ფინანსური მდგომარეობა გიუარესდებათ. ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. **ლომი** – ყოფითი პრობლემები დიდ ენერგიას გართმევთ. მოსალოდნელია კონფლიქტი ახლო მეგობრებთან და ნათესავებთან. **ქალწული** – პლანეტები გმფარველობენ. ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ, რაც მატერიალურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესებთ. **სასწორი** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დროულად მიიღეთ. ნებისმიერ საქმეს თამამად შეეჭიდეთ. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში მატერიალური კუთხით სირთულეები შეგხვდებათ. ყურადღება მთავარზე გაამახვილეთ. **მშვილდოსანი** – ივარჯიშეთ, ისეირნეთ, აქტიურად დაისვენეთ. წარმატებული იქნება ნებისმიერი კომერციული საქმიანობა. **თხის რქა** – პლანეტები გმფარველობენ. გელით სასიხარულო ახალი ამბავი. ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ, რაც მატერიალურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესებთ. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა. პარტნიორთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა გაქვთ. ოჯახშიც სრული იდილია სუფევს. **თევზები** – დაძაბული ხართ, თუმცა შეგიძლიათ განიტვირთოთ, თუ საყვარელი საქმით დაკავდებით. საოჯახო საქმეების მოგვარება სხვა დროისათვის გადადეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 2. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 3. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. ქართული ტელეკომპანია; 6. ქალაქ ლვოვის ძველი სახელწოდება; 9. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 11. ფრანგი ბარონი, ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელი; 14. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 16. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

**თარაზულად:** 1. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 4. ძველ ქართულ სამართალში – სასჯელი ქურდობისთვის; 7. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 8. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება; 12. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 13. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 15. თამაზ მელიავას კინოკომედია; 17. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 20. ავსტრალიური ველური ძაღლი; 21. პოპულარული ზამთრის კურორტი საფრანგეთში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კვრინჩხი; 7. მონარქი; 8. რომეო; 9. კუკუხო; 10. ნავთი; 13. აბელი; 15. ვისკონსინი; 18. მიკრონი; 20. პაპა; 21. მარინა; 23. დიალექტი; 24. დუბანი.

**შვეულად:** 1. შვებულება; 2. ოჩოკოჩი; 3. მირონი; 4. უნარი; 5. აქლემი; 11. თაგორი; 12. პისარო; 14. ლამა; 16. იარლიყი; 17. ეპიზოდი; 19. ნაესკაო; 21. მასნე; 22. ტაქსი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აფრა; 2. ენა; 3. ინდი; 4. ლია; 5. აუზი; 6. ურიც; 7. უნია; 8. იაკი; 9. ნიკოლა; 10. სოია; 11. აგრესია; 12. სატანა; 13. ნეო; 14. შრი; 15. რომანსი; 16. სინაპი; 17. ირიდიუმი; 18. ტორი; 19. მარიო; 20. კინო; 21. ონეშტი; 22. ალ; 23. ბორდო; 24. თორა; 25. ლიპომა; 26. ვატერლოო; 27. დნეპრი; 28. ბადრო; 29. ლემა; 30. ადოლფ; 31. სიმონია.

**სურათებზე:** აგატა კრისტი; ფაბრიციო კოლოჩინი.

# „მოირა“ მთავარი პრიზით დააჯილდოვეს




ლევან თუთბერიძის ერთ-ერთი ბოლო ფილმი „მოირა“ ბურგასის საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზით დააჯილდოვეს.

გასულ წელს „მოირა“ საქართველომ ოსკარზე წარადგინა. მართალია, ფილმი მოკლე ნუსხაში ვერ მოხვდა, მაგრამ რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზები მოიპოვა. „მოირამ“ ჯილდო დაიმსახურა სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზეც, აზიური ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალზე კი მთავარი პრიზის მფლობელი 30 ფილმს შორის გახდა.

ფილმი ზღვისპირა ქალაქში მცხოვრები ოჯახის ამბავს მოგვითხრობს. ციხიდან გამოსული მამუკა ცდილობს, ოჯახი სიღარიბისგან დაიხსნას. დედა საზღვარგარეთ მუშაობს, მამა ეტლს არის მიჯაჭვული, უმუშევარ ძმას კი კრიმინალებთან აქვს კავშირები. მამუკა ნასესხები ფულით ყიდულობს პატარა სათევზაო გემს, თუმცა ბედი შეუბრალებელი აღმოჩნდება.

ფილმში პაატა ინაური, ზაზა მაღალაშვილი, ქეთი ცხაკაია, ჯანო იზორია, ლილი ხურითი, დავით ხურცილავა, ირაკლი სანაია და ბაჩი ლეჟავა მონაწილეობენ.

# სოფო შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა



ცნობილი ქართველი ჟურნალისტი სოფო შევარდნაძე, რომელიც წლებია რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს, სამშობლოში დაბრუნდა. ბოლო პერიოდში ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილი საქართველოს ხშირად სტუმრობს. მიზეზი ხან „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურის წევრობაა და ხანაც მონატრებული ოჯახის წევრების მონახულება.

ამჯერადაც სოფო საქართველოში შვებულების გასატარებლად ჩამოვიდა. შევარდნაძეები საგურამოს აგარაკზე შეიკრიბნენ. სოფომ ერთობლივი სურათები სოციალურ ქსელში გაავრცელა.

ედუარდ შევარდნაძის შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები ზაფხულის ცხელ დღეებს თბილისთან ახლოს, საგურამოში ემალებიან. სოფო შევარდნაძის მიერ გავრცელებულ ფოტოებზე მისი მშობლები, და-ძმა, ძმისშვილები, ბიძა და ბიძაშვილი არიან გადაღებული.

# ქართული ფილმები მექსიკის საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობენ




მექსიკაში, გუანაჰატოს საერთაშორისო კინოფესტივალში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან წარდგენილ ფილმებს შორის 2 ქართული ფილმი მოხვდა. გუანაჰატოს საერთაშორისო კინოფესტივალი ლათინური ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალია.

სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის ფილმი „როცა დედამიწა მსუბუქია“ წარადგინეს კინოფესტივალის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების ოფიციალურ საკონკურსო პროგრამაში. ფილმი უკვე გახდა არაერთი პრიზის მფლობელი და ამჟამად სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე მოგზაურობას განაგრძობს.

დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „ლეთა“ კი კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში ჩაერთო. „ლეთა“ წელს კანის კინოფესტივალზე ერთ-ერთ სექციაში იყო წარდგენილი, რომლის მსოფლიო პრემიერაც სწორედ ფრანგულ რივიერაზე წარმატებით გაიმართა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

რევაზ სანიკიძე, იური ჯიშკარიანი, გოჩა მაცაბერიძე, კოკა ფუტკარაძე, ადიკო ჩხიკვიშვილი, თენგიზ სანიკიძე და ვახტანგ კიკნაძე ოჯახებით გულისტკივილითა და ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნების

**ალეკო გაბუნიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# შოტლანდიელმა წყვილმა ძველ სკამში ბრილიანტები იპოვა



შოტლანდიის ქალაქ ბიგარში მცხოვრებმა ოჯახურმა წყვილმა ძველ სკამში, რომელიც ხუთ ფუნტ სტერლინგად შეიძინეს, ბრილიანტის თვლებით დამშვენებული სამკაული იპოვა, რომლის ღირებულება ხუთი ათას ფუნტს შეადგენს.

ანჟელა მილნერ-ბრაუნმა და მისმა მეუღლე ენგუსმა სკამი აუქციონზე დაახლოებით ათი წლის წინ შეიძინეს, თუმცა მაშინ მათ ვერ შეძლეს სკამის რბილი ნაწილისთვის ახალი გადასაკვრელის შეკვეთა და მას დროებით ადგილი სხვენში მიუჩინეს, ექვსი წლის შემდეგ კი სკამისთვის გადასაკრავის შეკვეთა მოახერხეს. გარკვეული დროის შემდეგ ენგუსმა მეუღლეს მათი ქორწილის წლისთავზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი აჩუქა, შემდეგ წმინდა ვალენტინის დღეს მეუღლე ბრილიანტის საყურეებით გააბედნიერა, ხოლო აღდგომის დღესასწაულზე – ძვირფასი გულსაბნევით.

ყველა ეს სამკაული სკამის ადრინდელ მფლობელს ჰქონდა დამალული. ენგუსი ძვირფას სამკაულებს მაშინ გადააწყდა, როდესაც სკამს სარესტავრაციოდ ამზადებდა. თავდაპირველად მან გადაწყვიტა, ეს ამბავი მეუღლისთვის არ გაემხილა, მაგრამ შემდეგ სიმართლე მაინც გაამჟღავნა.

# აშშ-ში ნაყინის მუზეუმი გაიხსნა



დროებითი ნაყინის მუზეუმი გაიხსნა აშშ-ის ქალაქ ნიუ იორკში. 11:00-დან 15:00 საათამდე შესვლა უფასოა, შემდეგ მის დასათვალიერებლად 18 დოლარის გადახდა იქნება საჭირო. ახალ საგამოფენო კომპლექსში მოხვედრა 31 აგვისტომდე იქნება შესაძლებელი.

მუზეუმი ექვსი დარბაზისგან შედგება. ერთ-ერთ მათგანში დამთვალიერებლებს საჭმელ საჰაერო ბურთებს შესთავაზებენ, რომლებიც ჰელიუმითაა ავსებული. მეორე ვილი ვონკის პატივსაცემად ფილმიდან „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა“ წარმოადგენს შოკოლადის ოთახს. მთავარ ექსპონატად ითვლება დიდი აუზი სავსე სხვადასხვა ფერის საკონდიტრო შეკვრით და დამთვალიერებლებს, სურვილის შემთხვევაში, ბუტაფორიულ კანფეტებში „ცურვის“ საშუალება მიეცემათ.

მუზეუმში სტუმრებს გაუმასპინძლდებიან ექსკლუზიური ნაყინებით. გარდა ამისა, იქ სტუმრებს შესთავაზებენ დესერტებს ნიუ იორკში პოპულარული ნაყინის მაღაზიებიდან.

# ინდოეთში ქვეყნის ყველაზე ცნობილ ვეფხვს ეძებენ




ინდოეთში ვეფხვ ჯაის მასშტაბური სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ქვეყნის ყველაზე ცნობილ ვეფხვად ითვლება. მტაცებელი უკვე სამი თვეა, არ გამოჩენილა.

ვეფხვმა სახელი ჯაი ბოლივუდის ჰიტის „შურისძიება და კანონის“ გმირის ამიტაბხა ბაჩანას პატივსაცემად მიიღო. ვეფხვმა სახელი სამი წლის წინ გაითქვა, როდესაც ქვეყნის სოფლებში, მდინარეებსა და ავტომაგისტრალებზე პარტნიორის ძებნაში ეპიკური მოგზაურობა მოაწყო.

ბოლოს შვიდი წლის მტაცებელი 2016 წლის 18 აპრილს ნახეს მის ჩვეულებრივ რეზიდენციაში ნაგპურის ოლქის ნაკრძალში. გარდა ამისა, სიგნალს აღარ იძლევა ჯაის ელექტროსაყელური. ექსპერტებმა მახარაშტრას შტატიდან არ იციან, თუ რა შეიძლება დამართოდა ვეფხვს.

მტაცებლის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციისთვის დაწესებულია ფულადი ჯილდო 50 ათასი რუპიის (დაახლოებით 750 დოლარი) ოდენობით. ქვეყნის შეწუხებული მოსახლეობა საგანგებო ცერემონიებს ატარებს ჯაის პატივსაცემად და ასევე მისთვის ლოცულობენ.

# გერმანელმა ლატარიაში მოგების ახალი რეკორდი დაამყარა




ევროჯეკპოტის გამარჯვებულმა გერმანიის ესენის მიწის მცხოვრებმა ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა, ლატარიაში 94,2 მილიონი დოლარი მოიგო. ამ ინფორმაციას დოიჩე ველი ავრცელებს.

– ეს ყველაზე დიდი თანხაა, რომელიც კი ოდესმე გერმანიაში მოუგიათ, – განაცხადა ლატარიის გათამაშების ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

გერმანიაში ლატარიაში თანხის მოგების ადრინდელი რეკორდი 85,37 მილიონ დოლარს შეადგენდა.

# ინტერნეტის ვარსკვლავი მოპსი დაგი ცუკერბერგის ძაღლს შეხვდა




ინტერნეტის ვარსკვლავი მოპსი დაგი სოციალური ქსელის ფეისბუქის შემქმნელ მარკ ცუკერბერგის უნგრული ნაგაზის ჯიშის ძაღლს შეხვდა. ამის თაობაზე ინფორმაცია ცუკერბერგმა საკუთარ გვერდზე განათავსა. მისი თქმით, დაგსა და ბისტს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდათ.

ამ დროისთვის ცუკერბერგის პოსტს 162 ათასზე მეტი მოწონება და ასევე 5,5 ათასი კომენტარი აქვს მიღებული.

მოპსისა და უნგრული ნაგაზის შეხვედრის ამსახველი კადრები ფეისბუქში დაგის გვერდზეც გამოჩნდა, რომელსაც დართული აქვს მინაწერი: „ვერ გავიგე, იატაკის საწმენდი ტილო ხარ თუ ძაღლი“.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# TV პროგრამა

**სამშაბათი 2 აგვისტო**

**07.30** დ/ფ "ფოტო" – ინსცენირებული ფოტოგრაფია **08.00** ან/სერ. "მხიარული ფერმა" **09.00** ტ/სერ. **"დომბე და ვაჟი"** **10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.20** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ქალი" რომელიც ბრუნდება"** **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ხმა წარსულიდან"** **19.00** მინი/სერ. **"ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი"** **21.00** საკვალიფიკაციო ეტაპის მე-3 რაუნდის მატჩი: **"დინამო" "თბილისი" – ზაგრების "დინამო"** **23.00** ტ/სერ. **"ბეითსების მოტელი"** **00.00** "ოლიმპიური დღიური" **00.30** მხ/ფ **"უდავოდ ალბათ"** **02.30** მხ/ფ **"კონვეიერი"**

**08.00, 16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ **"სასახლის არომატები"** **15.30** დ/ფ "დიზაინი" **16.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **17.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. **"ამერიკული ოდისეა"** **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00, 23.30** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა** **23.00** "ნამდვილი დრო" **00.30** მხ/ფ **"გამოცხადება"**

**06.00** სერ. **"დახურული სკოლა"** **07.00** სერ. **"ფიცი"** **8** სერ. **08.00** სერ. **"თანხმობა"** **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ბამბის ველი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **11.20** სერ. **"ჟუმონგი"** **12.20** ცეკვავენ ვარსკვლავები **14.40** სერ. **"ფიცი"** **9** სერ. **16.00** სერ. **"თანხმობა"** **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ელიფი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 5"** **2** სერ. **23.00** სერ. **"სპარტაკი"** **2** სერ. **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ **"მიდელტონი"** **02.50** მხ/ფ **"საიდუმლო სია"** **04.35** მხ/ფ **"მთელი ცხოვრება მის თვალწინ"**

**06.30** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **07.30** დ/ფ - შ.მალაშხია **08.30, 09.10, 23.00, 01.00, 03.30** მხ/ფ. **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30** სერ. **"გაბრიელა"** **15.55** სერ. **"ქარადაი - ახალგაზრდობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"ცხოვრების გზები"** **19.45, 20.05** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **20.50** ლოტო **22.00** დ/ფ "პირველები" შ.მალაშხია **00.00** დ/ფ "ამომავალი მზის ქვეყანა" შ.მალაშხია

**8.00** ან/სერ. - **"ავატარი"** **9.00, 19.30** სერ. **"მენტალისტი"** **10.00, 18.30** სერ. **"კარგი ცოლი"** **11.00, 0.45** სერ. **"გრეის ანატომია"** **13.00, 2.45** სერ. **"ძვლები"** **15.00** მხ/ფ **"ბეტმენი და რობინი"** **17.30** სერ. **"მსახიობი მამა"** **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** სერ. **"სამეფო კარის თამაშები"** **23.00** მხ/ფ **"უცხო მტაცებლის წინააღმდეგ – რეკვიემი"**

**06.10** სპექტაკლი "პატარა უფლისწული" (გამ. **1** აგვისტო) **07.30** საქართველოს სამართლის ისტორია **17. 07.35** "ილიაობა" **2009 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30**"განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **37.** ღვთის განგებულება-ადამიანის ცხოვრებაზე **10.40** "ილიაობა" **1987** წ. **11.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **3. 11.40** საეკლესიო აღმშენებლობა "ბოლნისის ეპარქიის ტაძრები" **12.10** მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** (გამ. **1** აგვისტო) **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **1.** ძილის გუდა **2.** იყო ერთი თაგუნა **15.30** ტელე ზღაპარი "ტუტა და ლუდვიგ XIV" **15.50** დ/ფ "ჩემო პატრიარქო" **16.20** სიმღერის კვალდაკვალ "შავნაბადა" **17.15** დ/ფ "ჩვენებურები სხვა საქართველო" **17.45** სიბრძნისმეტყველება **2.**"თამარ მეფის წერილი რუქნადინისადმი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **19.45** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "ლიდია უფლის ოჯახს ეგებება" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი "საქართველოს ეკლესიის მწყესმთავარი საბერძნეთში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დიდ ხარ შენ უფალო...**17.**რომის იმპერატორი ტროიანე, ეგნატე ღმერთ შემოსილი **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. **"ქალთა ექიმი"** **10.05** სერ. **"ტატიანა"** **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. **"უკანასკნელი მაგიკიანი"** **13.00, 14.05 , 1.00** სერ. **"გულს ვერ უბრძანებ"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. **"სიყვარულის იმპერია"** **16.05, 17.05, 2.30** სერ. **"კარმელიტა ბოშური ვნება"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. **"ზოგადი თერაპია"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. **"ჯადოქარი"** **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. **"მახე"** **23.30** სერ. **"ფროიდის მეთოდი"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

2 აგვისტოსთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3479 |
| ევრო | 2.6083 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0898 |
| 100 რუსული რუბლი | 3.5119 |

**ამინდის პროგნოზი 2 აგვისტოსთვის**





**29 ივლისიდან**

სტენდალი

**პარმის სავანე**

ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

**2 აგვისტოდან**

ჯოვანი ბოკაჩო

**დეკამერონი**

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი







**5 აგვისტოდან**

ჯოვანი ბოკაჩო

**დეკამერონი**

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

**3 აგვისტოდან**

**აკა მორჩილაძე**

გადაფრენა მადათოვზე და უკან




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# იუმორი

ბანკეტზე მყოფი ცოლი ქმარს ეუბნება:

– აი, ყოველთვის ასეა, მეხუთე ჭიქის შემდეგ საზიზღარ ცხოველს ემსგავსები!

– კი მაგრამ, მე ხომ არ დამილევია!

– სამაგიეროდ, მე დავლიე!

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– საყვარელო, რომ დავქორწინდებით, ხომ ჩემი ერთგული იქნები?

– მარტო ჩემს შენახვას შეძლებ?

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, რა არის ალტერნატივა?

– ჰოო, ორ სიტყვაში ვერ აგიხსნი... ავიღოთ, მაგალითად: შენ მუშაობ და მუშაობ, ნელ-ნელა აგროვებ ფულს და ერთ დღესაც აქ სამსახური დაკარგე და სოფელში გადახვედი საცხოვრებლად, იყიდე ათი წიწილა, უვლი მათ, აჭმევ, გაიზარდნენ, ქათმები გახდნენ და დაიწყეს კვერცხის დება. შენ მოაგროვე კვერცხები და ახალი წიწილები გამოაჩეკინე, მათაც მოუარე, გაზარდე, ისევ კვერცხები დაგიდეს, ისევ წიწილები გამოაჩეკინე და ახლა უკვე ათასი წიწილა გყავს, შენ მათ უვლი, გაიზარდნენ და უკვე ათასი მოზრდილი ქათამი გყავს. შემდეგ ისინიც იწყებენ კვერცხის დებას და შენ უკვე ნამდვილი ფერმერი ხარ! და აი ამ დროს მოხდება წყალდიდობა და წყალმა მთელი შენი ფერმა წალეკა, აღარაფერი გაგაჩნია, ყველაფერი დაკარგულია.

– კი მაგრამ, მამა, აქ სადაა ალტერნატივა?

– იხვები!!!

•••

თეატრში სპექტაკლი მიდის, შუქი ჩამქრალია. უცბად მესამე რიგიდან ხმა ისმის:

– ექიმო! დარბაზში ვინმე არის ექიმი?!

– მე ვარ ექიმი, რა მოხდა? – პასუხობს ხმა ბოლო რიგიდან.

– კოლეგა! ეს რა სისულელეს გვაჩვენებენ?!

•••

ორი ეკონომისტი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს კრიზისთან დაკავშირებით ეკითხება:

– შენ რამე გესმის?

– ახლავე აგიხსნი...

– ერთ წუთს! ახსნით მეც კარგად ავხსნი. შენ რამე თუ გესმის?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

# იუვენტუსმა მარკო ვერატის თვალი დაადგა



ტურინის იუვენტუსი წლევანდელ სატრანსფერო ბაზარზე ძალიან აქტიურია. ტურინულმა კლუბმა უკვე განახორციელა რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გონსალო იგუაინის გამორჩევა შეიძლება.

იუვენტუსმა ამჯერად პსჟ-ს იტალიელ ნახევარმცველ მარკო ვერატის დაადგა თვალი, რომლის ყიდვაც ტურინელებს ადრეც უნდოდათ, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი ჩაიშალა. ამჯერად იუვე მზად არის, ვერატიში 50 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა პსჟ თავის ერთ-ერთ ლიდერს ადვილად არ დათმობს.

ვერატი შესაძლოა პოლ პოგბას შემცვლელად მოიაზრებოდეს, რომელიც, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს.

# ბარსელონა გრემიოს ფორვარდით დაინტერესდა



ბარსელონა ბრაზილიური გრემიოს 20 წლის ფორვარდ ლუანით დაინტერესდა, რომელიც თავის ქვეყანაში პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება.

ლუანი ბრაზილიის ოლიმპიურ გუნდშია, რომელსაც მალე ოლიმპიადაზე პირველი თამაში ექნება. ლუანით რამდენიმე ინგლისური კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ საბოლოოდ ყველა ეს ტრანსფერი ჩაიშალა. გრემიო თავის წამყვან ფორვარდს იაფად არ დათმობს და ბარსელონას 20 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

კატალონიელები კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ბრაზილიელ ფეხბურთელს აკვირდებიან, მაგალითად, გაბრიელს, რომელიც პალმეირასში თამაშობს.

# კარიმ ბენზემამ ტრავმა მიიღო



მადრიდის რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ ბარძაყის ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება ის მოედანზე.

9 აგვისტოს რეალი პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს ევროპის სუპერთასის ფინალში სევილიის წინააღმდეგ და ამ შეხვედრაში შესაძლოა ბენზემამ არ მიიღოს მონაწილეობა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კრიშტიანო რონალდუს თამაში ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რეალს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. მიუხედავად ამისა, სამეფო გუნდი ამ დაპირისპირებაში მაინც ფავორიტია.

შეხვედრა ნორვეგიაშია, ტრონჰეიმში გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იტალიაში სკაიპით დაქორწინება განხორციელდა



იტალიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონიერად იქნეს ცნობილი იტალიელი ქალბატონისა და პაკისტანელი მამაკაცის ქორწინება, რომლებმაც ამის გაკეთება სკაიპის დახმარებით გადაწყვიტეს.

აღსანიშნავია, რომ მანამდე სასამართლოში შევიდა იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელშიც ამ ქორწინების უკანონოდ ცნობას ითხოვდნენ.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ მეუღლეებმა სრულიად შეგნებულად გადაწყვიტეს დაქორწინება და, მართალია, ისინი ფიზიკურად ერთად არ იმყოფებოდნენ, მათი საუბარი ციფრულ ფორმატში, მაგრამ მაინც შედგა. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ საქორწინო ცერემონიაზე ფიზიკური დასწრება სავალდებულო პირობას არ წარმოადგენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური მექანიკის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 3. ძვირფასი ლითონების მიღების მეტალურგიული პროცესი; 4. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრისგან დამზადებული კატლეტი; 7. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. სრული მარცხი, კრახი; 13. ცხოველთა, ფრინველთა სადგომი ზოოპარკში; 14. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 15. უდაბნო აფრიკაში; 17. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბაიერნის" ფეხბურთელი; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

**თარაზულად:** 5. მთავარი ბუდისტური მონასტერი ტიბეტში; 6. უბანი ძველ თბილისში; 8. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 9. ნელტემპიანი სამეჯლისო ცეკვა; 10. ოთხშაბათის ძველი ქართული სახელწოდება; 11. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 13. შტატი აშშ-ში, სადაც პირველად გააუქმეს მონობა; 14. შემთხვევით ჩავარდნილი ბურთი ბილიარდში; 16. მასობრივი სპორტული სირბილი; 18. ნავსადგური ისრაელში; 20. ნახშირის სახატავი ფანქარი; 21. მოკლე საესტრადო, საცირკო ნომერი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი